Enhancing Gender Equality in Georgia

კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში

კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში

თბილისი
2014

ავტორები და ანგარიშის შექმნაში მონაწილე პირები:

კვლევის ინსტრუმენტის და ანალიტიკური ანგარიშის მომზადება:
იაგო კაჭკაჭიშვილი
ხატია ნადარაია

შერჩევის დიზაინი და მონაცემების სტატისტიკური დამუშავება:
ბელა რეხვიაშვილი

კვლევა განხორციელდა სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის (UNFPA) მხარდაჭერით, გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში.

აღნიშნული პროგრამა ხორციელდება გაეროს სამი სააგენტოს - გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მიერ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით.

ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები განხილული უნდა იქნას როგორც ავტორთა მოსაზრებები და ისინი არ წარმოადგენენ გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მოსაზრებებს.

დამატებითი ინფორმაცია ამ ანგარიშის შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ბიუროში:
საქართველო, თბილისი, 0179, ერისთავის ქ. 9
ტელეფონი: (995 32) 225 11 26 (152)
ფაქსი: (995 32) 225 02 71/72
www.georgiaunfpa.ge

ანგარიში დაბეჭდილია შპს „ვესტას“ მიერ (საქართველო, თბილისი)

ISBN 978-9941-0-6453-1

შესავალი

ბოლო წლების მანძილზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ქალთა ემანსიპაციის პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა, რამაც გენდერული თანასწორობის გაძლიერებას შეუწყო ხელი. მიუხედავად ამისა, როდესაც საკითხი ეხება განათლებას, დასაქმებას, შემოსავალს, სამსახურეობრივი პოზიციების გადანაწილებას და საზოგადოების დამოკიდებულებას – კაცებს უპირატესი პოზიციები უკავიათ. ასეთი გენდერული სტერეოტიპები თაობიდან თაობას გადაეცემა. ხშირია სიტუაციები, როდესაც დედებიც და მამებიც თავიანთ ვაჟებს ეუბნებიან: „შენ კაცი ხარ, ძლიერი და მამაცი უნდა იყო... რა გატირებს გოგო ხომ არ ხარ?!... შენმა ცოლმა უნდა დაგიჯეროს... თუ ვინმემ დაგარტყა, უპასუხე და ა.შ." ასეთი მასკულინური აღქმა და მესიჯები ზეწოლას ახდენს მოზარდ ბიჭზე და, თუ ის ასეთ გარემოში გაიზრდება, ის აუცილებლად შეეცდება საპირისპირო სქესთან მიმართებაში იყოს დომინანტი, ძლიერი და შეუპოვარი. თუმცა კაცი შეიძლება მოხვდეს ისეთ სიტუაციებში, სადაც თავის სიმამაცეს ვერ გამოიყენებს და თავს უძლურად იგრძნობს. რა მოხდება ასეთ შემთხვევაში? " კაცი დაიწყებს საკუთარ სისუსტეზე ფიქრს და თავს არაადეკვატურად და ხელმოცარულად ჩათვლის, რის შედეგადაც ავტორიტეტის აღდგენას ძალის გამოყენებით სხვებთან შეეცდება. აქ მთავრდება ციკლი, რომელიც მშობლის მიერ შვილისთვის „ნამდვილი კაცის" სტერეოტიპის შექმნით დაიწყო და მოძალადე კაცით დასრულდა. სამწუხაროდ, ეს ციკლი ხშირად მეორდება და მამის მხრიდან შვილს გადაეცემა, რაც კულტურაში მასკულინობის ჰეგემონიას ამკვიდრებს. კავკასიაში ეს კარგად ნაცნობი ფენომენია. გარდა სხვა სტერეოტიპებისა, არსებობს ცნება „კავკასიელი," რაც ძლიერი, დომინანტი და ზოგჯერ აგრესიული კაცის სინონიმია.

კვლევის „კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში" მიზანია გენდერული თანასწორობის მიმართ კაცების დამოკიდებულებების გამოვლენა; მათი გამოცდილების/ჩართულობის აღწერა საოჯახო საქმეებში და ისეთ სოციალურ პრაქტიკებში, რომლებიც მეუღლესთან/პარტნიორთან თანაცხოვრებას და გამოცდილების გაზიარებას მოითხოვს. გამოკითხვაში ქალებმაც მიიღეს მონაწილეობა რათა შესაძლებელი გამხდარიყო ორივე სქესის მოსაზრებების შედარება. გამოკითხვა ჩატარდა სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში" ფარგლებში. იგი ეყრდნობა პრომუნდოს (Promundo) მიერ განხორციელებულ ანალოგიურ კვლევას, რომელიც ასევე წარმატებით ჩატარდა ბრაზილიაში, ჩილეში, ხორვატიაში, ინდოეთში, მექსიკაში, რუანდასა და ბოსნიაში. ყველა ქვეყანაში გამოყენებული იყო IMAGES (International Men and Gender Equality Survey) მეთოდოლოგია. იმედია, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდება ისეთი პროგრამების ეფექტიანი დაგეგმვა, რაც ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის დამკვიდრებაში კაცების ჩართულობის გაზრდას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და დამოკიდებულების შეცვლას.

შემაჯამებელი დასკვნა

კვლევის მიზანია გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის მიმართ კაცთა და ქალთა დამოკიდებულების და პრაქტიკების გამოვლენა. მიღებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდება პროგრამების ეფექტიანი დაგეგმვა და გენდერული თანასწორობის დამკვიდრებაში კაცების ჩართულობის საჭიროების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

კვლევა მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. თვისებრივი კომპონენტი განხორციელდა ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით და მისი ფუნქცია იყო გენდერული თანასწორობის ემპირიული მაჩვენებლების (ინდიკატორების) გამოვლენა ზემოაღნიშნული მიზნის შესაბამისად. რაოდენობრივი კვლევის გენერალურ ერთობლიობას შეადგენს საქართველოს მოსახლეობა (18 წლის და მეტი ასაკის). შერჩევის მოცულობაა 2408 რესპონდენტი. რესპონდენტები გამოიკითხნენ პირისპირ ინტერვიუსა და ანკეტირების (კითხვარის დელიკატური ნაწილის შევსების მიზნით) მეთოდებით. გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს 11 რეგიონში. შერჩევის მოცულობა იძლევა კვლევის შედეგების განზოგადების შესაძლებლობას როგორც მთელი საქართველოს, ისე ცალკეული რეგიონების მასშტაბით.

მონაცემთა ანალიზისას გამოყენებული იქნა როგორც ერთგანზომილებიანი, ისე მრავალცვლადიანი ანალიზის მეთოდები (სიხშირული განაწილება, მოდა, საშუალო, კორელაციური და ფაქტორული ანალიზი და სხვ.)

კვლევა „კაცები და გენდერული ურთიერთობები“ ეყრდნობა Promundo-ს მიერ ჩატარებულ IMAGES (International Men and Gender Equality Survey) კვლევას. ქვემოთ გადმოცემულია კვლევის ძირითადი მიგნებები.

კაცების ჩართულობა საოჯახო საქმეებში

საოჯახო საქმეებში კაცების ჩართულობის კვლევისთვის მნიშვნელოვანია საოჯახო საქმეების განაწილების შესახებ რესპონდენტთა განწყობებისა და მოლოდინების შესწავლა. ამ მიზნით რესპონდენტებს, მათი ამჟამინდელი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, ეკითხებოდნენ, თუ როგორ არის/იყო განაწილებული ან როგორ განაწილდება სამომავლოდ მათსა და მეუღლეებს/პარტნიორებს შორის საოჯახო საქმეები. იკვეთება საოჯახო საქმეების განაწილების შემდეგი სურათი: „ქალურ“ საქმეებად ცხადდება ტანსაცმლის გარეცხვა, სახლის დალაგება, ოჯახში ჰიგიენური პირობების დაცვა, საჭმლის მომზადება და ბავშვების მოვლა. „მამაკაცურ“ საქმედ, ტრადიციულად, საოჯახო ნივთების შეკეთება მიიჩნევა.

კვლევა აჩვენებს, რომ საოჯახო საქმეების განაწილების აღწერილი მოდელი ადამიანთა მიერ მოზარდობის პერიოდში დასწავლილ ქცევას ეფუძნება. გოგონათა დიდ უმრავლესობას (85-92%-ს) მოზარდობისას ასწავლიან ე.წ. „ქალურ“ საქმეებად მიჩნეულ საქმიანობას (საჭმლის მომზადება, სახლის დალაგება, ოჯახში ჰიგიენური პირობების დაცვა, ტანსაცმლის გარეცხვა), ხოლო ბიჭებს ასწავლიან პირადი ჰიგიენის დაცვას, სასოფლო-სამეურნეო საქმეებს, ეზოს დასუფთავებას და უმცროს და-ძმაზე ზრუნვას.

საოჯახო საქმეებში კაცების ჩართულობის ამჟამინდელი (რეალური) სხვადასხვა პრაქტიკა თანხვედრაშია რესპონდენტთა დამოკიდებულებებთან და მოლოდინებთან. ეს სხვადასხვა პრაქტიკა შეფასებულია დაოჯახებული/პარტნიორთან ერთად მცხოვრები რესპონდენტების მონათხრობის საფუძველზე. ამასთან, ასეთი შეფასების მნიშვნელოვანი ასპექტია ქალებისა და კაცების მონათხრობების შედარება.

კაცები ყველაზე მეტად არიან ჩართულნი შემდეგ საქმეებში: საოჯახო ნივთების შეკეთება (ამაზე მიუთითებს კაცების 90% და ქალების 84%), გადასახადების გადახდა (ამაზე მიუთითებს კაცების 84% და ხოლო ქალების 76%) და საჭმლის ყიდვა (კაცების 30% და ქალების 19%). რესპონდენტთა შეფასებით, კაცები გაცილებით ნაკლებად მონაწილეობენ სახლის დალაგებაში (ამაზე მიუთითებს კაცების 20% და ქალების 11%) და საჭმლის მომზადებაში (კაცების 30%

და ქალების 19%), ყველაზე ნაკლებად კი - ოჯახში ჰიგიენური ნორმების დაცვაში (ამაზე მიუთითებს კაცების 18% და ქალების 11%).

საინტერესოა, რომ კაცების 86% და ქალების 72% კმაყოფილია საოჯახო საქმეების განაწილების არსებული მოდელით. ეს მიუთითებს, რომ საოჯახო საქმეებში არათანაბარი გენდერული მონაწილეობა სოციალურ-კულტურული სტანდარტია და ადაპტაციურობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

კაცების ჩართულობა ბავშვის აღზრდის პროცესში

კვლევა აჩვენებს, რომ ბავშვ(ებ)ის აღზრდის პროცესში ქალები და კაცები ერთობლივ პასუხისმგებლობას არ იღებენ, ბავშვის აღზრდა იმთავითვე ქალის მოვალეობად მიიჩნევა.

შემთხვევათა მნიშვნელოვან წილში (მერყეობს 30%-დან 42%-მდე) მამები 0-დან 6 წლის ჩათვლით ბავშვებს არასდროს უმზადებენ საჭმელს, უცვლიან საფენებს ან აბანავებენ. ბავშვის მოვლის მხრივ მამები უფრო მეტად ისეთ საქმეებს ასრულებენ, რომლებიც აბაზანას და სამზარეულოს არ უკავშირდება ან სახლიდან გასვლას მოითხოვს. ასეთი საქმეებია: ბავშვთან თამაში ან საუბარი, ბავშვის გასართობად წაყვანა, ბავშვისთვის წიგნების წაკითხვა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თამაშის/საუბრის გარდა, ბავშვის მოვლის ზემოთ აღნიშნულ აქტივობებს მამები თვეში რამდენჯერმე ასრულებენ და არა ყოველდღიურად. იმ კაცთა ხვედრითი წილი, რომლებიც 0-დან 6 წლის ჩათვლით ბავშვისთვის ყოველდღიურად ამზადებენ საჭმელს, უცვლიან ტანსაცმელს/საფენებს, აბანავებენ, მიჰყავთ საბავშვო ბაღში/სკოლაში, მიჰყავთ გასართობად და უკითხავენ წიგნებს, 18%-ს არ აღემატება.

7-დან 12 წლის ჩათვლით ბავშვის მოვლაში ჩართვის შემთხვევაში ბავშვთან თამაშს საუბარი ანაცვლებს. ეს უკანასკნელი ერთადერთი აქტივობაა, რომელშიც მამების უმრავლესობა - 81% - ყოველდღიურად ერთვება. 7-დან 12 წლის ჩათვლით ბავშვზე ზრუნვის პროცესში ისეთ აქტივობებში, როგორებიცაა ბავშვისთვის საჭმლის მომზადება, ტანსაცმლის გარეცხვა და წიგნების წაკითხვა, კაცების ყოველდღიური მონაწილეობა მცირდება და 7%-ს არ აღემატება. 34%-ს არ აღემატება იმ მამების ხვედრითი წილი, რომლებიც 7-დან 12 წლის ჩათვლით ბავშვს კვირაში ერთხელ ან თვეში რამდენჯერმე ეთამაშებიან, მიჰყავთ სკოლაში, ეხმარებიან საშინაო დავალების მომზადებაში, უმზადებენ საჭმელს, ურეცხავენ ტანსაცმელს და ესაუბრებიან ბავშვის მასწავლებელს.

13-დან 18 წლის ჩათვლით მოზარდის აღზრდის პროცესში მამების ჩართვა, წინა ასაკობრივ კატეგორიებთან შედარებით, კიდევ უფრო ნაკლებია: ამ ასაკობრივი ჯგუფის მოზარდისთვის საკითხავი ლიტერატურის შერჩევაში, მასწავლებელთან საუბარში, საჭიროებისშემთხვევაშისაშინაო დავალების მომზადებაში დახმარებასა და ტანსაცმლის გარეცხვაში ყოველდღიურად ჩართულ კაცების ხვედრითი წილი 5%-ს არ აღემატება.

გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულება

გამოკითხვა აჩვენებს, რომ საზოგადოებაში სოციალური როლების განაწილებას აშკარად თან ახლავს გენდერული ნიშანი, რაც ინდივიდებს სპეციფიკურ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს აკისრებს. კერძოდ, რესპონდენტთა უმრავლესობა გამოყოფს ისეთი გენდერული როლების არსებობას, როგორიცაა:

- ქალის მთავარ მოვალეობად ოჯახზე ზრუნვის მიჩნევა;
- ბავშვების მოვლის (საფენების გამოცვლა, დაბანა და გამოკვება) დედების პასუხისმგებლობად მიჩნევა;
- სახლში გადამწყვეტი სიტყვის კაცისთვის მიკუთვნება;
- ქალის მიერ მისთვის მიყენებული სიტყვიერი შეურაცხყოფის მოთმენის ვალდებულება ოჯახის შენარჩუნების მიზნით და ა.შ.

დებულებას, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა, რესპონდენტთა 89% ეთანხმება. მნიშვნელოვანია, რომ ამ დებულებას თანაბრად იზიარებენ როგორც კაცები, ასევე ქალები. მოსაზრებას: „ბავშვ(ებ)ისთვის საფენების გამოცვლა, ბავშვ(ებ)ის დაბანა და ბავშვ(ებ)ის გამოკვება ძირითადად დედების პასუხისმგებლობაა“ გამოკითხულთა 77% იზიარებს. 78% ეთანხმება, რომ „სახლში გადამწყვეტი სიტყვა მამაკაცს ეკუთვნის“; აღნიშნულ მოსაზრებას ქალების ჯგუფში უფრო ნაკლები ადამიანი (70%) იზიარებს, ვიდრე კაცების შემთხვევაში (88%).

საოჯახო ურთიერთობები

კვლევა აჩვენებს, რომ 18 წლამდე სქესობრივი კავშირის გამოცდილება კაცების 69%-ს და ქალების 16%-ს აქვს.

შემთხვევითი სექსუალური კავშირებისგან გაცილებით შორს დგანან ქალები (95% აცხადებს, რომ არ ჰყოლია სპონტანური პარტნიორი), ვიდრე კაცები (49% უარყოფს შემთხვევითი სექსუალური კავშირების ქონას).

საქართველოს მოსახლეობის 83%-ს, სანამ ისინი 18 წლის გახდებოდნენ, უსაფრთხო სქესობრივი ცხოვრების წესების შესახებ მშობლები არ ესაუბრებოდნენ. ამ თემაზე საუბარი ტაბუირებულია როგორც ბიჭებთან, ისე გოგონებთან. გოგონების 85%-ს და ბიჭების 81%-ს, სანამ 18 წლის გახდებოდნენ, მშობლებთან უსაფრთხო სქესობრივ ცხოვრებაზე არ უსაუბრიათ. კვლევა აჩვენებს, რომ ბოლო 50 წლის განმავლობაში საქართველოში უსაფრთხო სქესობრივი ცხოვრების შესახებ მოზარდებისთვის ინფორმაციის მიწოდების პრაქტიკა თანდათანობით იცვლებოდა: 65 და მეტი წლის ასაკობრივი კატეგორიის კაცების 91% და ქალების 90% აცხადებს, რომ მოზარდობის პერიოდში სქესობრივი ცხოვრების შესახებ მშობლები ინფორმაციას არ აწვდიდნენ, ხოლო 18-24 წლის ბიჭების 67% და გოგონების 82% ამბობს, რომ უსაფრთხო სქესობრივი ცხოვრების წესების შესახებ მშობლები არ ესაუბრებოდნენ. ამრიგად, გარკვეული პროგრესი მშობლების მხრიდან სექსუალური ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით სახეზეა, თუმცა ეს მკვეთრად გამოხატული ცვლილება არ არის.

რესპოდენტთა 70% მიიჩნევს, რომ ქალები არიან პასუხისმგებელნი, თავი დაიცვან არასასურველი ორსულობისგან. აღნიშნულ მოსაზრებას კაცების 69% და ქალების 71% იზიარებს. 76% მიიჩნევს, რომ კაცმა და ქალმა ერთად უნდა გადაწყვიტონ, რა სახის კონტრაცეპტივს გამოიყენებენ; კაცებს შორის აღნიშნულ მოსაზრებას 74%, ხოლო ქალებს შორის 77% იზიარებს. რესპონდენტთა 28% (კაცები: 30%; ქალები: 27%) აცხადებს, რომ მათთვის მიუღებელი იქნება, თუ ცოლი/ქმარი მოსთხოვს კონდომის გამოყენებას.

მეუღლესთან/პარტნიორთან მცხოვრები კაცების 45%-ის განცხადებით, მათ პარტნიორს ერთხელ მაინც გაუკეთებია აბორტი. აბორტის გაკეთების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში კაცების 37% იღებდა მონაწილეობას.

თავს იჩენს სქესის შერჩევის მიზნით (როგორც წესი, ვაჟის ყოლის მოტივაციიდან გამომდინარე) აბორტის გაკეთების პრაქტიკა. პარტნიორთან/მეუღლესთან მცხოვრები ქალების 9% აცხადებს, რომ სქესის შერჩევის მიზნით აბორტი გაუკეთებია, ხოლო კაცების 2% ამბობს, რომ სქესის შერჩევის მიზნით მათ მეუღლეს/პარტნიორს აბორტი გაუკეთებია. ქალების მეტი გულახდილობა ამ თვალსაზრისით იმით აიხსნება, რომ სქესის შერჩევის მიზნით აბორტის გაკეთების ინიციატორები ძირითადად კაცები არიან.

კაცთა 54% აღნიშნავს, რომ ისინი ორსულობის პერიოდში მეუღლეებს/პარტნიორებს ექიმთან კონსულტაციაზე დაჰყვებოდნენ. თუმცა შვილის დაბადებას სამშობიარო ბლოკში კაცების მხოლოდ 5% ესწრებოდა.

ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა

მეუღლის/პარტნიორის (ქალის) მიმართ ქმრების მხრიდან ძალადობის ამჟამინდელი პრაქტიკა, რესპონდენტთა მონათხრობის მიხედვით, ორ ფაქტორულ ჯგუფად ნაწილდება:

- ფიზიკური ძალადობისა და ფსიქოლოგიური (სიტყვიერი) ძალადობის მძიმე პრაქტიკა;
- ფსიქოლოგიური (სიტყვიერი) ძალადობის ე.წ. „მსუბუქი“ პრაქტიკა (მაგალითად, ყვირილი, გინება, ნეგატიური მიმართვები და ა.შ.)

მეუღლისთვის/პარტნიორისთვის (ქალისთვის) ცეცხლსასროლი იარაღით ან დანით დამუქრება აღნიშნულ ორ ფაქტორს შორის მარგინალურ შემთხვევას წარმოადგენს, ანუ არც მძიმე პრაქტიკად ითვლება და არც მსუბუქად.

მეუღლის/პარტნიორის (ქალის) მიმართ ყვირილი, გინება და სხვადასხვა სახის მიმართვებით ტირილამდე მიყვანა, ძალადობის სხვა სახეობებთან შედარებით, მეტად გავრცელებული პრაქტიკაა და, როგორც ფაქტორული ანალიზიდან იკვეთება, ის ძალადობის მსუბუქ პრაქტიკად არის მიჩნეული.

კაცების უმრავლესობა (66%) აცხადებს, რომ ერთხელ მაინც უყვირია მეუღლისთვის/პარტნიორისთვის; 44%-ს მეუღლისთვის/პარტნიორისთვის ერთხელ მაინც უთქვამს უცენზურო სიტყვები (უგინებია); 38%-ს ცოლი/პარტნიორი ერთხელ მაინც მიუყვანია ტირილამდე საკუთარი მიმართვებით. კაცების 12-15% აღნიშნავს, რომ მეუღლისთვის/პარტნიორისთვის ერთხელ მაინც უკრავს ხელი ან გაუწნია სილა; შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული მეუღლისთვის/პარტნიორისთვის მუშტის ან რაიმე ნივთის დარტყმის, ფეხის დარტყმის, მიწაზე თრევისა და ყელში წაჭერის, ასევე ცეცხლსასროლი იარაღით

ან დანით დამუქრების პრაქტიკა.

სექსუალურ ძალადობასთან მიმართებაში რესპონდენტთა დამოკიდებულება არ გამოირჩევა ძალადობის მსხვერპლთა მიმართ ემპათიით: გამოკითხული კაცების 36% და ქალების 31% ეთანხმება მოსაზრებას: „ქალებს იმიტომ აუპატიურებენ, რომ ისინი გაუფრთხილებლობით თავად იგდებენ საკუთარ თავს ამ სიტუაციაში.“ კაცების 34.8% და ქალების 23% მიიჩნევს, რომ ზოგ შემთხვევაში ქალებს სურთ, რომ ისინი გააუპატიურონ. ასევე, კაცების 53% და ქალების 45% თვლის, რომ თუ ქალი ფიზიკურ წინააღმდეგობას არ უწევდა კაცს, არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილი ჰქონდა გაუპატიურებას. გარდა ამისა, გამოკითხული კაცების 39% და ქალების 36% მიიჩნევს, რომ ისეთ ქალებს აუპატიურებენ, რომლებსაც ცუდი რეპუტაცია აქვთ.

გამოკითხული ქალებიც და კაცებიც აცხადებენ, რომ მეუღლეებთან სექსუალური ძალადობის შემთხვევები ჰქონიათ. ძალადობის ინდიკატორად მოცემულ შემთხვევაში აღებულია სურვილის გარეშე სექსუალური კონტაქტი. აღმოჩნდა, რომ ქალები ამ თვალსაზრისით უფრო ხშირად აღმოჩენილან სექსუალური ძალადობის სუბიექტები, ვიდრე კაცები. ქალების 23% აცხადებს, რომ მათი სურვილის საწინააღმდეგოდ მათთან ქმარს/პარტნიორს ერთხელ მაინც ჰქონია სექსი, კაცებს შორის კი მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ 11% აღნიშნავს.

გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით საქართველოს მოსახლეობის დაყოფა ჯგუფებად

კვლევა აჩვენებს, რომ ქალ და კაც რესპონდენტებს შორის ურთიერთობების რეალური გამოცდილება კავშირშია გენდერული თანასწორობის მიმართ მათ დამოკიდებულებებთან (ატიტუდებთან).

გენდერული თანასწორობის მიმართ ნეგატიურად განწყობილი კაცები საოჯახო საქმეებსა და ბავშვის მოვლის პროცესში იშვიათად ან თითქმის არასდროს ერთვებიან, ხოლო გენდერული თანასწორობის მიმართ ლოიალურად განწყობილი ქალები, მართალია, საოჯახო საქმეების შესრულების ძირითად პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებენ, მაგრამ მათი უმრავლესობა (65%) აცხადებს, რომ ბავშვ(ებ)ის მოვლის პასუხისმგებლობას მეუღლესთან/პარტნიორთან თანაბრად ინაწილებს.

გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით საქართველოს მოსახლეობაში სამი ჯგუფი შეიძლება გამოიყოს:

- გენდერული თანასწორობის მიმართ ლოიალურად განწყობილთა ჯგუფი (ე.წ. „ლოიალურები”);
- გენდერული თანასწორობის მოწინააღმდეგეთა ჯგუფი (ე.წ. „რეზისტენტულები”);
- გენდერული თანასწორობის მიმართ გამოკვეთილი პოზიციის არმქონეთა ჯგუფი (ე.წ. „ოპორტუნისტები”).

აღნიშნული ჯგუფების გამოყოფა შემდეგ დებულებებზე დათანხმება-დაუთანხმებლობის მიხედვით მოხდა:

- „ბავშვ(ებ)ისთვის საფენების გამოცვლა, ბავშვ(ებ)ის დაბანა და ბავშვ(ებ)ის გამოკვება ძირითადად დედების პასუხისმგებლობაა“;
- „სახლში გადამწყვეტი სიტყვა კაცს ეკუთვნის“;
- „ქალმა უნდა მოითმინოს სიტყვიერი შეურაცხყოფა, რათა შეინარჩუნოს ოჯახი“.

„ლოიალურთა“ ჯგუფში ის ადამიანები მოიაზრებიან, რომლებიც მეორე და მესამე დებულებებს სრულიად არ ეთანხმებიან, ხოლო პირველ დებულებას ნაწილობრივ ან სრულიად არ ეთანხმებიან. „რეზისტენტულთა” ჯგუფში ის ადამიანები შედიან, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ დებულებებს სავსებით ან ნაწილობრივ ეთანხმებიან, „ოპორტუნისტთა” ჯგუფში კი ის ადამიანები ერთიანდებიან, რომლებიც აღნიშნულ დებულებებს „შერეულად” ეთანხმებიან.

გამოკითხულებს შორის „ლოიალურთა” ხვედრითი წილი 3.7%-ია, „რეზისტენტულთა” მაჩვენებელი – 45.5%-ია, ხოლო „ოპორტუნისტთა” წილი 50.8%-ს შეადგენს.

„ლოიალურთა“ შორის: ა) დიდ უმრავლესობას (81%) ქალები შეადგენენ; ბ) 77% უმაღლესი განათლების მქონეა; გ) სხვა ასაკობრივ კატეგორიებთან შედარებით ჭარბობენ 45 წლამდე ადამიანები. „რეზისტენტულთა” ჯგუფში: ა) უმრავლესობას (53%) კაცები შეადგენენ; ბ) 69%-ს არა აქვს უმაღლესი განათლება; გ) სხვა ასაკობრივ კატეგორიებთან შედარებით ჭარბობენ 65 და მეტი წლის ადამიანები (23%). „ოპორტუნისტთა” ჯგუფში: ა) უმრავლესობას (57%) ქალები შეადგენენ; ბ) 51% უმაღლესი განათლების

მქონეა; გ) სხვა ასაკობრივ კატეგორიებთან შედარებით ჭარბობენ 18-24 და 25-34 წლის ადამიანები (შესაბამისად, 23% და 20%).

ამრიგად, საქართველოს მოსახლეობა, გენდერული თანასწორობის მიღების თვალსაზრისით, ძირითადად არათანმიმდევრული (წინააღმდეგობრივი) და ნეგატიური დამოკიდებულების მქონე ადამიანებისგან შედგება. გენდერული თანასწორობის მომხრეთა წილი ძალზე მცირეა და ასეთ დამოკიდებულებას ძირითადად უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა ქალები ამჟღავნებენ.

დასახელებული ჯგუფების გამოცდილება საოჯახო საქმეებთან დაკავშირებით შესაბამისობაშია თითოეული ჯგუფის განწყობებთან:

- ტანსაცმლის გარეცხვა – „რეზისტენტულთა" და „ოპორტუნისტთა" ჯგუფებში მაღალია იმ დაოჯახებული ქალების წილი („ლოიალურებთან" შედარებით), ვისაც ამ საქმიანობის შესრულება ქმრების მონაწილეობის გარეშე უწევს („რეზისტენტულთა" 90%, „ოპორტუნისტთა" 81% და „ლოიალურთა" 73%);
- საჭმლის ყიდვა – „ლოიალურ" დაოჯახებულ ქალთა უმრავლესობა (63%) ამბობს, რომ საჭმლის ყიდვის მოვალეობას მეუღლესთან/პარტნიორთან თანაბრად ინაწილებს. „ოპორტუნისტ" დაოჯახებულ ქალებში ასეთი პრაქტიკა იკლებს (53%), ხოლო „რეზისტენტულთა" ჯგუფში კიდევ უფრო მცირდება (46%);
- სახლის დალაგება – მიუხედავად იმისა, რომ „ლოიალურ" დაოჯახებულ ქალთა დიდი უმრავლესობა (81%) სახლის დალაგებას მხოლოდ ან ძირითადად საკუთარი პრაქტიკის ნაწილად აცხადებს, ამ ფუნქციის შესრულებაზე „რეზისტენტული" და „ოპორტუნისტი" დაოჯახებული ქალების კიდევ უფრო მეტი რაოდენობა მიუთითებს (შესაბამისად, 93% და 86%);
- ოჯახში ჰიგიენური პირობების დაცვა– „ლოიალურ" ქალებს შორის ყველაზე მეტია იმ ქალების ხვედრითი წილი (19%), რომლებიც ამ საქმიანობას მეუღლეებთან ინაწილებენ. კაცების რეალური გამოცდილება შეესაბამება ამ მხრივ ქალების მიერ აღწერილ სურათს;
- საჭმლის მომზადება – „ლოიალურ" დაოჯახებულ ქალთა 67% ამბობს, რომ საჭმლის მომზადება ძირითადად ან მხოლოდ მათ უწევთ, მაშინ, როდესაც „რეზისტენტულ" ქალებს შორის ეს ფუნქცია ქალების 88%-ს აკისრია, ხოლო „ოპორტუნისტებს" შორის - 76%-ს. კაცების ჯგუფებში აღნიშნული ტენდენციის შესაბამისი პრაქტიკაა დამკვიდრებული;
- ბავშვ(ებ)ის მოვლა – „ლოიალურ" დაოჯახებულ ქალთა უმრავლესობა (65%) ამბობს, რომ ბავშვ(ებ)ის მოვლის პასუხისმგებლობას მეუღლესთან/პარტნიორთან თანაბრად ინაწილებს. „რეზისტენტულ" ქალებში, პირიქით, გამოკვეთილი უმრავლესობა (69%) მიუთითებს, რომ ბავშვების მოვლა ძირითადად ან მხოლოდ მათი მოვალეობაა. ასეთივე გამოცდილებაზე მიუთითებს „ოპორტუნისტ" ქალთა 57%. სხვადასხვა ჯგუფის ქალების ეს პრაქტიკა თანხვედრაშია ამავე ჯგუფების კაცების პრაქტიკასთან. მაგალითად, „რეზისტენტულ" ჯგუფში დაოჯახებული კაცების მხოლოდ 5% აღნიშნავს, რომ ბავშვ(ებ)ის მოვლის მოვალეობას ძირითადად ან მხოლოდ ისინი ასრულებენ.

ამრიგად, გენდერული თანასწორობის მიმართ ლოიალურად განწყობილთა ჯგუფის გამოცდილება კაცების საოჯახო საქმეებში ჩართვის ყველაზე მაღალ დონეს ამჟღავნებს; თუმცა თვით „ლოიალურთა" ჯგუფშიც კი შენარჩუნებულია საოჯახო საქმეების გაძღოლის პატრიარქალური, გენდერულ უთანასწორობაზე დაფუძნებული მოდელი.

გენდერულად განსაზღვრული სხვადასხვა პრაქტიკისა და ღირებულებითი ორიენტაციის შედარება XX საუკუნის 45-იანი წლებიდან დღევანდელობამდე

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე სხვადასხვა გენდერული პრაქტიკის ცვლილებათა ხასიათისა და ტემპის განსაზღვრისთვის რამდენიმე საანალიზო დროითი პერიოდი გამოიყო. დროის ამ ინტერვალებისთვის დამახასიათებელი ღირებულებებისა და გენდერული როლების შესახებ მსჯელობისას კვლევაში მონაწილე იმ რესპონდენტთა პასუხებს ვეყრდნობით, რომელთა ბავშვობის პერიოდი ხსენებულ ინტერვალს ემთხვევა. გამოვყავით საანალიზო დროის შემდეგი პერიოდები:

i. საანალიზო პერიოდი, რომელიც 1945-73 წლების მონაკვეთს მოიცავს. ამ პერიოდის შესახებ მოსაზრებები 55 და მეტი წლის ადამიანთა განწყობებსა და ატიტუდებს ეყრდნობა;

ii. 1974-83 წლების პერიოდი, რომლის შესახებ 35-54 წლის რესპონდენტთა პასუხების საფუძველზე ვიმსჯელებთ;
iii. 1984–94 წლების პერიოდი, რომლის ანალიზი 25-34 წლის რესპონდენტთა პასუხებს ეყრდნობა;
iv. პერიოდი 1995 წლიდან დღემდე, რომელიც, ერთი მხრივ, ეფუძნება 18-24 წლის რესპონდენტთა ინფორმაციას საკუთარი მშობლების პრაქტიკის შესახებ, მეორე მხრივ კი – 18-დან 34 წლამდე რესპონდენტთა პასუხებს საკუთარი საოჯახო პრაქტიკისა და ოჯახში ფუნქციების განაწილების შესახებ.

საანალიზოდ აღებული პერიოდები პირობითია და რამდენიმე გარდამავალი წლის ცდომილებით ხასიათდება. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დროის აღნიშნული პერიოდების გამოყოფა სოციალური რეალობის გასაანალიზებლად არის ინიცირებული (რაც რაოდენობრივ კვლევებში აპრობირებული ინსტრუმენტია).

მოცემული საანალიზო პერიოდების ურთიერთშედარების საფუძველზე იკვეთება:

- ბავშვ(ებ)ის მოვლის პროცესში თანაბარი ჩართულობა ყველაზე მაღალია უფროსი პოპულაციის მშობლების (55 და მეტი წლის ადამიანთა მშობლების) შემთხვევაში - იმ თაობაში, რომელთა საოჯახო პრაქტიკა სოციალურ დროში 1945-1973 წლებს ემთხვევა.
- მამის ჩართულობა ბავშვების მოვლაში ყველაზე ნაკლებად მესამე საანალიზო პერიოდისთვის (1984-94 წლები) არის გამოხატული.
- რაც შეეხება თანამედროვე პერიოდს, ამ პერიოდში დედის უშუალო ჩართულობა ბავშვებზე მზრუნველობაში მაქსიმალურია. ამავე პერიოდისთვის ფიქსირდება მამის, ისევე, როგორც ბებია-ბაბუის, მეტი ჩართულობაც ბავშვის მოვლაში. ამავე პერიოდში ყველაზე ნაკლებად გამოხატულია ბავშვებზე მშობლების მხრიდან ერთობლივი ზრუნვის ტენდენცია. ეს შესაძლოა ტრადიციულ ოჯახურ სტრუქტურაში გაჩენილი დესტრუქციული ნიშნების გამოვლენა იყოს, ვინაიდან სუსტდება ბავშვებზე ერთად ზრუნვის ტენდენცია და იზრდება მათზე ინდივიდუალური ზრუნვა ოჯახის წევრების მხრიდან.

აღნიშნული პერიოდების გათვალისწინებით მონაცემთა ანალიზის შედეგად საოჯახო პრაქტიკის ორი ჯგუფი იკვეთება:

I. პირველ ჯგუფს შეადგენს ისეთი საოჯახო პრაქტიკა, რომლის მიმართ გენდერული მონაწილეობა კანონზომიერადიცვლებადასაანალიზო პერიოდების მონაცვლეობის კვალად კაცის ჩართულობის აბსოლუტური უარყოფა უფრო და უფრო იკლებს (ანუ იზრდება ამ საქმეებში კაცის მონაწილეობის ხარისხი). ეს პრაქტიკაა საკვების შეძენა და ბავშვ(ებ)ის მოვლა.
II. პრაქტიკის მეორე ჯგუფი ცვლილებების კანონზომიერი ტემპით არ ხასიათდება. ეს მაჩვენებლები ძირითადად უმნიშვნელოდ იცვლება, მაგრამ მათი ცვლილების ლოგიკა დამოკიდებული არ არის გამოყოფილი საანალიზო პერიოდის ცვლილებაზე. დროისა და საზოგადოებრივი განვითარების სოციალურ-კულტურული ასპექტები, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინა დანარჩენ საოჯახო საქმეებში კაცების ჩართულობაზე, ამ რამდენიმე პრაქტიკას ვერ ეხება და ისინი საკუთარ არსებობას თითქმის პირვანდელი სახით ინარჩუნებენ. ასეთ პრაქტიკას მიეკუთვნება: ტანსაცმლის გარეცხვა, სახლის დალაგება და ოჯახში ჰიგიენური ნორმების დაცვა (ის სამუშაოები, რასაც კვლევაში პირობითად ,,შავ" საქმიანობად მოვიხსენიებთ).

სახლის დალაგებისა და ტანსაცმლის გარეცხვის შემთხვევაში პოზიტიური ცვლილებების სუსტი ტენდენციის გამოყოფა შეიძლება უკანასკნელ საანალიზო პერიოდში. თუმცა სრულიად განსხვავებულია ოჯახში ჰიგიენური პირობების დაცვის (საბაზონოს დასუფთავება, და ა.შ.) პრაქტიკა. ამ საქმიანობის შემთხვევაში კაცების ჩართულობის აბსოლუტური უარყოფა პიკს მესამე საანალიზო პერიოდში (1983-94 წლები) აღწევს და 91%-ით განისაზღვრება. თანამედროვეობაში ეს მაჩვენებელი 87%-მდე იკლებს, თუმცა მაინც აღემატება 1945-73 წლებში არსებულ მაჩვენებელს. ანუ XX საუკუნის 40-იან-60-იან წლებში მამაკაცები მეტად იყვნენ ჩართულნი ამ საქმიანობაში, ვიდრე თანამედროვე პირობებში.

სხვადასხვა საოჯახო პრაქტიკის განაწილების სქემა მოწმობს, რომ ცვლილებები კაცების საოჯახო საქმეებში მონაწილების თვალსაზრისით ზედაპირულად მიმდინარეობს: იცვლება მხოლოდ ზოგიერთი პრაქტიკა და აღიარებული შეხედულებები; მეორე მხრივ, იმ სხვადასხვა პრაქტიკას, რომლებიც ყველაზე უკეთ გამოხატავს საზოგადოებაში გენდერის ნიშნით არსებულ კულტურულ ძალადობას XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე, ლიბერალიზაცია პრაქტიკულად არ შეხებია. პირიქით, 80-იან და 90-იან წლებში ამ სხვადასხვა პრაქტიკისადმი დამოკიდებულების პატრიარქალურმა

ხასიათმა კულმინაციას მიაღწია. ლიბერალიზაციის ის სუსტი მაჩვენებელი კი, რაც უკანასკნელ საანალიზო პერიოდში გამოიკვეთა, ატიტუდების შეცვლაზე არ მიუთითებს.

სარჩევი

შესავალი iii

შეამაჯამებელი დასკვნა iv

კვლევის მიზანი და ამოცანები 1

კვლევის მეთოდოლოგია 2

2.1. შერჩევის მახასიათებლები 2

2.2 კვლევის ინსტრუმენტი 3

კვლევის შედეგები 4

3.1. რესპონდენტების სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები 4

3.2. ოჯახში მოვალეობების განაწილების მოდელი 4

3.3. ოჯახში გადაწყვეტილებების მიმღები პირი 9

3.4. კაცების ჩართვა ბავშვის აღზრდის პროცესში 11

3.5. გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულება 11

3.6 ოჯახური ურთიერთობები 17

3.7 ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან 22

ძალადობის სხვადასხვა პრაქტიკა:

ბავშვობის გამოცდილება სექსუალური ძალადობის მიმართ 23

დამოკიდებულება და რეალური პრაქტიკა 25

გენდერულად განსაზღვრული სხვადასხვა პრაქტიკისა და ღირებულებითი ორიენტაციის შედარება XX საუკუნის 45-იანი წლებიდან დღევანდელობამდე 28

4.1. 1945-73 წლების პერიოდში გენდერულად განსაზღვრული სხვადასხვა პრაქტიკისა და ღირებულებითი ორიენტაციის აღწერა 28

4.2. 1974-1983 წლების პერიოდში გენდერულად განსაზღვრული სხვადასხვა პრაქტიკისა და ღირებულებითი ორიენტაციის აღწერა 29

4.3. 1984-1994 წლების პერიოდის გენდერულად განსაზღვრული სხვადასხვა პრაქტიკისა და ღირებულებითი ორიენტაციის აღწერა 30

4.4. 1995-იანი წლებიდან დღემდე პერიოდის გენდერულად განსაზღვრული სხვადასხვა პრაქტიკისა და ღირებულებითი ორიენტაციის აღწერა 31

4.5. გენდერულად განსაზღვრული სხვადასხვა პრაქტიკისა და ღირებულებითი ორიენტაციის შედარება პერიოდების მიხედვით 32

გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულება და საოჯახო საქმეებსა და ბავშვის მოვლის პროცესში ჩართულობის სხვადასხვა პრაქტიკა 34

5.1 გენდერული თანასწორობის მიმართ სხვადასხვაგვარად განწყობილი ჯგუფების სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი 35

5.2. გენდერული თანასწორობის მიმართ სხვადასხვაგვარად განწყობილ ჯგუფებში საოჯახო საქმეების განაწილება 36

1 კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის მიმართ კაცების და ქალების დამოკიდებულების და პრაქტიკების გამოვლენა. მიღებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდება პროგრამების ეფექტიანი დაგეგმვა და გენდერული თანასწორობის დამკვიდრებაში კაცთა ჩართულობის საჭიროების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

კვლევის ძირითადი ამოცანებია:

1. საოჯახო საქმეებში კაცთა ჩართულობის სხვადასხვა პრაქტიკის გამოვლენა და მათი შედარება ქალთა მონაწილეობასთან;
2. ბავშვის აღზრდის პროცესში კაცთა ჩართულობის სხვადასხვა პრაქტიკის გამოვლენა;
3. გენდერული თანასწორობის ძირითადი სტანდარტების მიღება;
4. გენდერული ძალადობის სხვადასხვა პრაქტიკის შეფასება;
5. მეუღლეებს/პარტნიორებს შორის საოჯახო ურთიერთობების, მათ შორის სექსუალური ურთიერთობების, დახასიათება.

2 კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს.

რაოდენობრივი კვლევის გენერალურ ერთობლიობას შეადგენს საქართველოს მოსახლეობა (18 წლის და მეტი ასაკის). გამოყენებულიიქნამასობრივიგამოკითხვის მეთოდი, კერძოდ, რესპონდენტები გამოიკითხნენ პირისპირ ინტერვიუსა და ანკეტირების გზით. ანკეტირებას მივმართეთ განსაკუთრებით დელიკატურ შეკითხვებზე რესპონდენტთა პასუხების მისაღებად, როდესაც მაღალია არაგულწრფელობის რისკი. თვისებრივი კვლევა განხორციელდა ფოკუსჯგუფის (ჯგუფური დისკუსიის) მეთოდის გამოყენებით. ჯგუფური დისკუსიები წინ უსწრებდა მასობრივ გამოკითხვას, რამდენადაც ფოკუსჯგუფებს მოცემულ კვლევაში ჰქონდა რაოდენობრივი კვლევის დამხმარე ფუნქცია; კერძოდ, დისკუსიების პროცესში განისაზღვრა საქართველოს რეალობაში შესასწავლი პრობლემის ცალკეული მახასიათებლები, რომლებიც რაოდენობრივი კვლევის კითხვარის შექმნას დაედო საფუძვლად.

2.1. შერჩევის მახასიათებლები

რაოდენობრივი კვლევა:

შერჩევის მოცულობა: 2408 რესპონდენტი. შერჩევის ეს მოცულობა განსაზღვრულია იმ გაანგარიშებით, რომ გამოკითხვის შედეგები რეპრეზენტატული იყოს საქართველოს მასშტაბით. ამასთან, შესაძლებელია ვისაუბროთ შედეგების მეტ-ნაკლებ სანდოობაზე ცალკეული რეგიონების მასშტაბითაც (იხ. ცხრილი 1):

შერჩევის ბაზა: საქართველოს ამომრჩეველთა სიები 2012 წლისათვის.

შერჩევის დიზაინი: მრავალსაფეხურიანი სტრატიფიცირებული (კლასტერული) შერჩევა. შერჩევის ამ მოდელის მთავარი იდეაა კვლევაშიგეოგრაფიულიდადემოგრაფიული მახასიათებლების წარმომადგენლობა. აღნიშნული კვლევისათვის შერჩევის მოცულობა განაწილდა თბილისსა და საქართველოს 10 რეგიონს შორის ისეთი პროპორციით, რომელიც უზრუნველყოფს შერჩევის ცდომილების მეტ-ნაკლებად თანაბარ მნიშვნელობებს.

შერჩევის ფორმირების პირველ ეტაპზე შერჩევის მთელი ერთობლიობა დაიყო სტრატებად (ტერიტორიულ და დემოგრაფიულ ერთეულებად). ცალკეული სტრატისათვის გამოყოფილი კვოტები გადანაწილდა 18 წლის და უფრო მაღალი ასაკის მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად. შესაბამისად, შედგა შერჩევის დეტალური სქემა, რომელიც მოიცავდა მოქალაქეთა განაწილებას რეგიონების, რაიონების, ქალაქებისა და სოფლების მიხედვით.

საველე სამუშაობი (რესპონდენტთა გამოკითხვა) ჩატარდა ოჯახებში; რესპონდენტები შეირჩნენ კიშის ცხრილის[1] გამოყენებით. ეს ინსტრუმენტი უზრუნველყოფს შერჩევის შემთხვევითობის მაქსიმალურ დაცვას, რაც სანდო მონაცემების მიღების აუცილებელი პირობაა.

თვისებრივი კვლევა:

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 5 ჯგუფური დისკუსია შემდეგი შემადგენლობით:

გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები;

სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური პროფილის მქონე სრულწლოვანი ქალები;

სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური პროფილის მქონე სრულწლოვანი კაცები.

თბილისი: სულ ჩატარდა 3 ფოკუსჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები (1 ფოკუსჯგუფი); სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული პროფილის მქონე სრულწლოვანი ქალები (1 ფოკუსჯგუფი); სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული პროფილის მქონე სრულწლოვანი მამაკაცები (1 ფოკუსჯგუფი).

კახეთი: სულ ჩატარდა 2 ფოკუსჯგუფი

1 კიშის ცხრილი არის ციფრებისგან შემდგარი ცხრილი, რომელიც ინტერვიუერს საშუალებას აძლევს, შინამეურნობის ყველა ზრდასრული წევრიდან წესების მკაცრად დაცვით შეარჩიოს რესპონდენტი.

ცხრილი 1: შერჩევის განაწილება

	გეოგრაფიული ერთეულები	შერჩევის მოცულობა	ცდომილების მნიშვნელობა (სანდოობის ხარისხი 95%)
1	თბილისი	547	4.2%
2	აჭარა	230	6.5%
3	გურია	100	9.8%
4	იმერეთი	230	6.5%
5	კახეთი	245	6.3%
6	მცხეთა-მთიანეთი	100	9.8%
7	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	100	9.8%
8	სამეგრელო-ზემო სვანეთი	240	6.3%
9	სამცხე-ჯავახეთი	180	7.3%
10	ქვემო ქართლი	230	6.5%
11	შიდა ქართლი	200	6.9%
	რესპონდენტთა ჯამური რაოდენობა	2402	2.0%

შემდეგი შემადგენლობით: სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული პროფილის მქონე სრულწლოვანი ქალები (1 ფოკუსჯგუფი); სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული პროფილის მქონე სრულწლოვანი მამაკაცები (1 ფოკუსჯგუფი).

2.2 კვლევის ინსტრუმენტი

რაოდენობრივი კვლევისთვის (მასობრივი გამოკითხვისთვის), შერჩევის მოდელის დიზაინის პარალელურად, მოხდა კვლევის ინსტრუმენტის – კითხვარის შემუშავება. კვლევის ინსტრუმენტად შეირჩა Promundo-ს და ქალთა კვლევის საერთაშორისო ცენტრის (ICRW) მიერ შემუშავებული კითხვარის ადაპტირებული ვარიანტი; ეს კითხვარი მსოფლიოს რამოდენიმე ქვეყანაში (ბრაზილიაში, ჩილეში, ხორვატიაში, მექსიკაში, რუანდასა და ბოსნიაში) გამოიყენებოდა გენდერული ძალადობის, საოჯახო საქმეების განაწილების, ბავშვის აღზრდის პროცესში კაცების ჩართულობის და გენდერული თანასწორობის იდეების მიმართ ქალებისა და კაცების დამოკიდებულების შესასწავლად. კითხვარის ადაპტაცია მოხდა საქართველოს რეალობის თავისებურებების გათვალისწინებით, ხოლო ამ თავისებურებების იდენტიფიცირება მოხდა ფოკუსჯგუფების პროცესში.

კითხვარი იყო ფორმალიზებული (სტრუქტურიზებული) და მოიცავდა სხვადასხვა ტიპის – დახურულ, ნახევრად დახურულ და (ცალკეულ შემთხვევაში) ღია - შეკითხვებს.

თვისებრივი კვლევისათვის გამოიყენებოდა ნახევრად სტრუქტურიზებული კითხვარი (გაიდლაინი). სულ შემუშავდა 3 ტიპის გაიდლაინი განსხვავებული ფოკუსჯგუფებისათვის (გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული პროფილის მქონე სრულწლოვანი ქალები და მამაკაცები).

3 კვლევის შედეგები

3.1. რესპონდენტების სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

გამოკითხვამ აჩვენა რესპონდენტთა ზოგიერთი სოციალურ-დემოგრაფიული სპეციფიკა მათი ოჯახური მდგომარეობის, დასაქმებისა და განათლების მიღწეული დონის მიხედვით (იხ. ცხრილი 2).

როგორც მონაცემები აჩვენებს, სოციალურ-დემოგრაფიული პროფილის მიხედვით კაცებსა და ქალებს შორის განსხვავებული სურათი შემდეგი მიმართულებით იკვეთება:

- ქალებს შორის დაოჯახებულთა (დაქორწინებულთა) წილი უფრო მეტია კაცებთან შედარებით: კაცების 72%, ხოლო ქალების 82%-მდე დაოჯახებულია; დაუოჯახებელთა ხვედრითი წილი კაცებში 28%-ია, ხოლო ქალებში - 19%-მდე[2].

- ქალებში ჭარბობენ (კაცებთან შედარებით) საშუალო ტექნიკური განათლების მქონეები (ქალები: 25%, კაცები -17%).

- დასაქმების თვალსაზრისით კაცების მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე ქალებისა: კაცების 52% და ქალების 28% დასაქმებულია (იგულისხმება დასაქმების ნებისმიერი ფორმა, თვითდასაქმების ჩათვლით). შესაბამისად, კაცების 26% და ქალების 46% დაუსაქმებელია.

- განსხვავებული მდგომარეობაა პირადი შემოსავლების თვალსაზრისითაც: კაცების ყოველთვიური საშუალო პირადი შემოსავალი (261 ლარი) აღემატება ქალების ყოველთვიურ საშუალო პირად შემოსავალს (136 ლარი). საკუთარი (პირადი) შემოსავლის უქონლობაზე მიუთითებს ქალების 45% და კაცების 29%. ზოგადად, გამოკითხვა აჩვენებს რესპონდენტთა სიღარიბის მაღალ დონეს: ყოველი მესამე გამოკითხულის (34%) ყოველთვიური პირადი შემოსავალი მხოლოდ 10-დან 250 ლარამდე ვარირებს[3].

*მაშასადამე, **ქალების ეკონომიკური მდგომარეობა უფრო მძიმეა, ვიდრე კაცებისა: მიუხედავად იმისა, რომ ქალების მიერ მიღწეული განათლების დონე კაცებისას არ ჩამორჩება, კაცებთან შედარებით მეტი რაოდენობის ქალები არიან დაუსაქმებლები და ქალებს კაცებზე დაბალი ყოველთვიური საშუალო პირადი შემოსავალი აქვთ.***

3.2. ოჯახში მოვალეობების განაწილების მოდელი

დაოჯახებულ/პარტნიორთან ერთად მცხოვრებ რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვა: „ამის აუცილებლობა თუ დადგა, როგორ ნაწილდება/განაწილდება თქვენ და თქვენს მეუღლეს/პარტნიორს შორის სხვადასხვა საოჯახო საქმე?“ საოჯახო საქმეების განაწილების ამჟამინდელი სხვადასხვა პრაქტიკა შეფასებულია დაოჯახებული/პარტნიორთან თანამცხოვრები რესპონდენტების მონათხრობის საფუძველზე. საოჯახო საქმეებში კაცების ჩართვის ამჟამინდელი სხვადასხვა პრაქტიკის შეფასების მნიშვნელოვანი ასპექტია კაცების ჩართვის შესახებ ქალებისა და კაცების მონათხრობების შედარება.

სხვადასხვა საოჯახო საქმეში კაცების ჩართვის სურათი (როგორც თავად კაცების, ისე მათი ცოლების/პარტნიორების მონათხრობის საფუძველზე) აჩვენებს, რომ კაცები მეტად არიან ჩართულნი ისეთ საქმეებში, რომლებიც ფულის დახარჯვას (საჭმლის ყიდვა, გადასახადების გადახდა) და საოჯახო ნივთების შეკეთებას უკავშირდება. ოჯახში ჰიგიენური პირობების შენარჩუნებასთან, სახლის დალაგებასთან, საჭმლის მომზადებასა და ბავშვის მოვლასთან დაკავშირებულ საქმეებს ძირითადად ქალები აკეთებენ.

2 აღსანიშნავია, რომ დაოჯახებულის სტატუსი მიეწერა პარტნიორთან ერთად თანაცხოვრებაში მყოფ რესპონდენტებსაც (სამოქალაქო ქორწინების ან ჯვრისწერის გარეშე).

3 გასათვალისწინებელია, რომ რესპონდენტთა დასაქმების მდგომარეობის, ისევე, როგორც პირადი შემოსავლების შესახებ მონაცემები ეყრდნობა მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

ცხრილი 2: ოჯახური მდგომარეობის, დასაქმებისა და განათლების მიღწეული დონის მაჩვენებლები

	კაცი	ქალი
	%	%
ოჯახური მდგომარეობა		
დაოჯახებული	72	81.5
დაუოჯახებელი	28	18.5
განათლების მიღწეული დონე		
არავითარი, საერთოდ არ მივლია სკოლაში	0.2	0.2
არ მაქვს ოფიციალური განათლება, თუმცა ვიცი წერა-კითხვა	0.1	0.3
დაწყებითი (4 კლასის ჩათვლით)	0.7	0.2
დაუსრულებელი საშუალო	3.6	4.4
საშუალო (10-11 კლასი)	35.1	28
საშუალო ტექნიკური	17.1	24.6
არასრული უმაღლესი	9.6	6.7
უმაღლესი	33.7	35.5
დასაქმების მდგომარეობა/სოციალური სტატუსი		
დასაქმებული	52.2	28.1
დაუსაქმებელი	25.8	45.9
სწავლის პროცესში ჩართული	5.7	5.2
პენსიონერი	15.8	20.6
სხვა	0.4	0.3
ყოველთვიური პირადი შემოსავალი		
10-100 ლარი	7.3	7.2
101-150 ლარი	16.8	21.9
151- 250 ლარი	6.9	7.4
251 -400 ლარი	12.8	7.7
401 -1000 ლარი	18.2	6.8
1000 ლარზე მეტი	3.4	1.0
უარი პასუხზე	4.7	2.3
არ აქვს საკუთარი შემოსავალი	29.0	45.0
არ აქვს სტაბილური შემოსავალი	0.9	0.6

ცხრილი 3: კაცების[4] ჩართულობა საოჯახო საქმეებში

კაცებისა და ქალების მონათხრობი	ტანსაცმლის გარეცხვა	საოჯახო ნივთების შეკეთება	საჭმლის ყიდვა	სახლის დალაგება	აბაზანისა დასუფთავება	საჭმლის მომზადება	გადასახადების გადახდა	ბავშვ(ებ)ის მოვლა
კაცების მონათხრობი: მხოლოდ მე მიწევს/ ძირითადად მე მიწევს და თანაბრად ვინაწილებთ	21% N=150	90% N=637	79% N=561	20% N=144	18% N=129	30% N=211	84% N=599	48% N=329
ქალების[5] მონათხრობი: მხოლოდ მეუღლეს უწევს/ძირითადად მეუღლეს უწევს და თანაბრად ვინაწილებთ	15% n=107	84% n=620	67% N=490	11% N=83	11% N=82	19% N=143	76% N=560	40% N=281

4 კაცები, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ მეუღლესთან/ პარტნიორთან ერთად (N=737)

5 ქალები, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ მეუღლესთან/ პარტნიორთან ერთად (N=762)

გამოკითხვა აჩვენებს, რომ კაცების და მათი მეუღლეების მონათხრობი საოჯახო საქმეებში კაცების ჩართვასთან დაკავშირებით (ყველა დასახელებულ საოჯახო საქმესთან მიმართებაში) ერთმანეთისაგან განსხვავდება: კაცები უფრო მეტად მიუთითებენ საკუთარ მონაწილეობაზე, ვიდრე მათი მეუღლეები. თუმცა შეფასებები ყველაზე უფრო შორდება ერთმანეთს საჭმლის ყიდვასა და საჭმლის მომზადებასთან დაკავშირებით: კაცების 79% ადასტურებს მათ დომინანტურ მონაწილეობას ოჯახისთვის საჭმლის ყიდვაში, მაშინ, როდესაც მეუღლეების ამ აქტივობაზე ქალების 67% მიუთითებს; კაცების 30% აცხადებს, რომ აქტიურად არის ჩართული საჭმლის მომზადებაში, მაშინ, როდესაც ამას ქალების 19% ადასტურებს (იხ. ცხრილი 3).

საოჯახო საქმეებში კაცების ჩართვის ამჟამინდელი სხვადასხვა პრაქტიკის შეფასების გარდა, კვლევა ითვალისწინებდა საოჯახო საქმეებში მონაწილეობის არა მხოლოდ ამჟამინდელი, არამედ **წარსულში არსებული და მომავალში მოსალოდნელი** სურათის გამოვლენას რესპონდენტთა მთელი კორპუსისათვის. ამ მიზნით რესპონდენტებს, მათი ამჟამინდელი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, ეკითხებოდნენ, თუ როგორ იყო/არის განაწილებული ან როგორ განაწილდება სამომავლოდ მათსა და მეუღლეებს/პარტნიორებს შორის საოჯახო საქმეები. როგორც გამოკითხვა აჩვენებს, საოჯახო საქმეებში მონაწილეობის სამგანზომილებიანი (წარსული, აწმყო, მომავალში მოსალოდნელი) სურათი არ განსხვავდება არსებული მოდელისაგან: საჭმლის მომზადებაზე ძირითად პასუხისმგებელთა პროცენტული მაჩვენებელი ქალებს შორის 81%-ია, ხოლო კაცებს შორის - 14%. მსგავსი სურათია ტანსაცმლის გარეცხვის პასუხისმგებლობის შემთხვევაშიც (ქალების 85% ამბობს, რომ ტანსაცმლის გარეცხვა უმეტესად მათი პასუხისმგებლობაა); სახლის დალაგებაზე პასუხისმგებლობას ქალების 88% და კაცების 12% იღებს; საოჯახო ნივთების შეკეთებაზე კაცების 73% და ქალების 20%-ია პასუხისმგებელი და ა.შ. (იხ. დიაგრამა 1).

აშკარაა, რომ საოჯახო საქმეები სქესის ნიშნით, ე.წ. „კაცურ“ და „ქალურ“ საქმეებად ჯგუფდება. „ქალური” საქმეებია: ტანსაცმლის გარეცხვა, სახლის დალაგება, საჭმლის მომზადება და ბავშვ(ებ)ის მოვლა. „კაცურ“ საქმეებად მიიჩნევა: საოჯახო ნივთების შეკეთება, საჭმლის ყიდვა და გადასახადების გადახდა.

საოჯახო საქმეების გენდერული სეგრეგაცია დასტურდება ფაქტორული ანალიზითაც (ანალიზის ეს მეთოდი აჯგუფებს სქესობრივი კუთვნილების მიმართ „მგრძნობიარე“ აქტივობებს) (იხ. დიაგრამა 2).

გამოკითხვა აჩვენებს, რომ ე.წ. „ქალურ“

დიაგრამა 1: ქალსა და კაცს შორის საოჯახო საქმეების გადანაწილებაზე პასუხისმგებლობის სხვადასხვა პრაქტიკა



დიაგრამა 2: საოჯახო საქმეების სქესის ნიშნით განაწილების ფაქტორული ანალიზი

საქმეებად მიჩნეულ აქტივობებს (საჭმლის მომზადება, სახლის დალაგება, აბაზანის დასუფთავება, ტანსაცმლის გარეცხვა) გოგონათა გამოკვეთილ უმრავლესობას ასწავლიან. უმცროს და-ძმაზე ზრუნვასაც კი უფრო მეტად გოგონებს ასწავლიან, ვიდრე ბიჭებს (ქალების 72% და კაცების 65% აცხადებს, რომ სანამ 18 წლის გახდებოდნენ, მშობლები მათ ამას ასწავლიდნენ). აქტივობები, რომელთა დასწავლაც ბიჭებისთვისაა წახალისებული, შემდეგია: პირადი ჰიგიენის დაცვა (მამრობითი სქესის რესპონდენტთა 96% აცხადებს, რომ ასწავლიდნენ), სასოფლო-სამეურნეო საქმეები (კაცების 71% აცხადებს, რომ ასწავლიდნენ), ეზოს დასუფთავება (კაცების 68% ამბობს, რომ ასწავლიდნენ) (იხ. დიაგრამა 3 და ცხრილი 5).

დიაგრამა 3: ოჯახურ საქმიანობაში მონაწილეობის მოზარდობისას დასწავლილი მოდელები



გამოკითხვა აჩვენებს, რომ კონკრეტულ საოჯახო საქმეებში კაცებისა და ქალების მონაწილეობის პატრიარქალური პრაქტიკა ა) არ არის გაცნობიერებული (ზოგადი განწყობის თვალსაზრისით) როგორც მკვეთრად არათანაბარი და ბ) სავსებით არ აღიქმება დისკრიმინაციულად. კერძოდ, ქალებსა და კაცებს თითქმის იდენტური დამოკიდებულება აქვთ ოჯახში საქმეების განაწილების არსებულ მოდელში კაცების მონაწილეობის მიმართ. კაცების 58% მიიჩნევს, რომ მეუღლესთან/პარტნიორთან შედარებით საოჯახო საქმეებში თანაბრად ან მეტად არის ჩართული, ხოლო ქალების 57% აცხადებს, რომ მათი მეუღლეები/პარტნიორები საოჯახო საქმეებში თანაბრად ან მეტად არიან ჩართულები.

ამასთან, საოჯახო საქმეების განაწილების არსებული მოდელით დაოჯახებული კაცები უფრო მეტად არიან კმაყოფილები, ვიდრე მათი მეუღლეები/პარტნიორები (კაცების 86% და ქალების 72% კმაყოფილია) (იხ. ცხრილი 4).

საოჯახო საქმეების განაწილების მოდელის შეფასებაზე და ამ მოდელით კმაყოფილებაზე არსებით გავლენას არ ახდენდა რესპონდენტთა ასაკი, განათლება და დასაქმების მდგომარეობა.

ეს მიუთითებს, რომ პატრიარქალური გენდერული სტერეოტიპები საქართველოს მოსახლეობაში მყარია და უმრავლესობაში

ცხრილი 4: საოჯახო საქმეებში კაცების ჩართულობისადმი დამოკიდებულება და საოჯახო საქმეების განაწილებით კმაყოფილება

	კაცების შეფასებით	ქალების შეფასებით
კაცები, რომლებიც თანაბრად და მეტად არიან ჩართული საოჯახო საქმეებში	58%	57%
საოჯახო საქმეების განაწილებით კმაყოფილება	86%	72%

ცხრილი 5: მეუღლეებს/პარტნიორებს შორის საოჯახო საქმეების განაწილების მოდელები ასაკობრივი კატეგორიებისა და სქესის ჭრილში

	სქესი		ასაკი %						სულ
			18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 და მეტი	
ტანსაცმლის გარეცხვა	მდედრობითი	მე	74.1	88.0	83.9	87.9	86.5	89.0	85.1
		თანაბრად	18.7	9.8	13.5	8.5	10.8	7.3	11.4
		მეუღლე/ პარტნიორი	7.2	2.2	2.7	3.5	2.7	3.7	3.6
	მამრობითი	მე	10.4	9.2	14.2	15.2	16.3	14.8	13.2
		თანაბრად	19.2	14.1	9.9	9.0	10.5	8.0	12.0
		მეუღლე/ პარტნიორი	70.3	76.6	75.9	75.8	73.2	77.2	74.8
საოჯახო ნივთების შეკეთება	მდედრობითი	მე	8.4	13.8	15.0	28.8	22.4	31.5	19.6
		თანაბრად	27.5	26.8	26.8	17.7	29.3	19.8	24.6
		მეუღლე/ პარტნიორი	64.1	59.4	58.2	53.5	48.3	48.8	55.8
	მამრობითი	მე	74.1	88.0	83.9	87.9	86.5	89.0	85.1
		თანაბრად	18.7	9.8	13.5	8.5	10.8	7.3	11.4
		მეუღლე/ პარტნიორი	7.2	2.2	2.7	3.5	2.7	3.7	3.6
საჭმლის ყიდვა	მდედრობითი	მე	19.2	30.5	31.7	43.4	44.2	44.3	35.2
		თანაბრად	63.5	53.8	52.9	45.5	42.2	44.3	50.7
		მეუღლე/ პარტნიორი	17.4	15.7	15.4	11.1	13.6	11.4	14.2
	მამრობითი	მე	26.9	22.3	16.9	25.7	32.5	28.8	25.6
		თანაბრად	62.6	61.4	59.9	52.5	46.4	51.3	55.9
		მეუღლე/ პარტნიორი	10.4	16.3	23.2	21.8	21.2	20.0	18.5

სახლის დალაგება	მდედრ-ობითი	მე	79.9	88.8	86.4	90.4	88.4	91.5	87.6
		თანაბრად	14.0	9.4	11.3	7.6	8.8	6.1	9.6
		მეუღლე/ პარტნიორი	6.1	1.8	2.3	2.0	2.7	2.4	2.8
	მამრობითი	მე	5.6	6.6	12.7	14.6	19.7	13.6	11.8
		თანაბრად	19.4	14.2	10.6	5.6	3.9	8.0	10.5
		მეუღლე/ პარტნიორი	75.0	79.2	76.8	79.8	76.3	78.4	77.6
აბაზანისა დასუფთა-ვება	მდედრ-ობითი	მე	77.2	90.6	87.3	89.4	90.5	92.0	87.9
		თანაბრად	16.8	7.6	9.5	9.1	6.8	4.9	9.1
		მეუღლე/ პარტნიორი	6.0	1.8	3.2	1.5	2.7	3.1	2.9
	მამრობითი	მე	4.9	6.5	11.3	14.4	17.8	10.8	10.7
		თანაბრად	22.0	8.6	10.6	7.2	5.9	8.2	10.6
		მეუღლე/ პარტნიორი	73.1	84.9	78.2	78.5	76.3	81.0	78.7
საჭმლის მომზადება	მდედრ-ობითი	მე	68.7	81.7	78.8	84.8	85.0	86.7	80.9
		თანაბრად	25.9	16.5	18.9	13.6	12.2	9.6	16.3
		მეუღლე/ პარტნიორი	5.4	1.8	2.3	1.5	2.7	3.6	2.8
	მამრობითი	მე	7.7	9.2	11.3	16.7	23.2	17.0	13.9
		თანაბრად	30.2	21.7	18.4	11.1	15.2	15.1	18.9
		მეუღლე/ პარტნიორი	62.1	69.0	70.2	72.2	61.6	67.9	67.2
გადასახა-დების გადახდა	მდედრ-ობითი	მე	8.4	18.2	27.3	31.7	37.4	44.2	27.3
		თანაბრად	54.2	49.8	43.2	48.2	40.1	41.2	46.3
		პარტნიორი	37.3	32.0	29.5	20.1	22.4	14.5	26.4
	მამრობითი	მე	45.5	43.5	41.5	44.0	48.7	35.2	43.1
		თანაბრად	49.4	45.1	43.7	36.8	38.7	46.9	43.5
		მეუღლე/ პარტნიორი	5.1	11.4	14.8	19.2	12.7	17.9	13.4

არ არსებობს არა თუ ამ სტერეოტიპებზე კრიტიკული რეფლექსია, არამედ ამით გამოწვეული უთანასწორობის გაცნობიერებაც კი.

მიუხედავად ამისა, იკვეთება, რომ ოჯახური საქმეების გენდერის ნიშნით განაწილების კულტურულმა მოდელმა დროთა განმავლობაში გარკვეული ცვლილება განიცადა პატრიარქალური პრაქტიკის „შერბილების“ თვალსაზრისით. კერძოდ, ახალგაზრდა ასაკის (18-24 წლების) დაოჯახებულ ქალებში (65 წლის და მეტი ასაკობრივი ჯგუფის ქალებთან შედარებით) რამდენადმე იკლებს ამა თუ იმ საოჯახო საქმის მეუღლის/პარტნიორის დაუხმარებლად შესრულების ხვედრითი წილი (მაგ., მეუღლისაგან დაუხმარებლად ტანსაცმლის გარეცხვაზე მიუთითებს 18-24 ასაკობრივი ჯგუფის დაოჯახებული ქალების 74%, ხოლო 65 და მეტი ასაკის დაოჯახებული ქალების 89%). თუმცა ისიც ცხადია, რომ: ა) საოჯახო საქმეებში მონაწილეობის მკვეთრად დიფერენცირებული პრაქტიკა თვით 18-24 წლის ქალების ჯგუფშიც დომინანტურია და ბ) საოჯახო საქმეებში მონაწილეობის პატრიარქალური მოდელი პრაქტიკულად უცვლელია კაცების ჯგუფში, ასაკის მიუხედავად (იხ. ცხრილი 5).

3.3. ოჯახში გადაწყვეტილებების მიმღები პირი

რამდენად დაცულია ქალსა და კაცს შორის თანასწორობა ოჯახში ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით? რესპონდენტებს შეეძლოთ ეს პრობლემა რეტროსპექტივაში განეხილათ და შეედარებინათ მათი ოჯახის წარსული და ახლანდელი გამოცდილება.

გადაწყვეტილების მიღება შეეხო ისეთ საკითხებს, როგორიცაა ფულის დახარჯვა ოჯახისთვის საჭმლისა და ტანსაცმლის, აგრეთვე, საოჯახო ნივთების შესაძენად,

ბავშვებისათვის განათლების მისაცემად, სპორტით დასაკავებლად და ა.შ.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც წესი, მეუღლეების ერთობლივი მონაწილეობა იკვეთება; ამაზე მიუთითებენ როგორც ქალი, ისე კაცი რესპონდენტები. ნიშანდობლივია, რომ დღესდღეობით ოჯახებში აღწერილი სიტუაცია უფრო მეტადაა ორიენტირებული გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების პრაქტიკაზე, ვიდრე ეს წარსულში ხდებოდა. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ვისაუბროთ გარკვეულ საკითხებზე, სადაც ქალების დამოუკიდებლობის ხა-

დიაგრამა 4: მოზარდობის პერიოდში ოჯახში სხვადასხვა საკითხთან მიმართებით გადაწყვეტილების მიმღებ აქტორთა განაწილება



დიაგრამა 5: ოჯახში სხვადასხვა საკითხთან მიმართებით გადაწყვეტილების მიმღებ აქტორთა განაწილება



რისხი (გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით) მაღალია კაცების დამოუკიდებლობის ხარისხზე და პირიქით. კერძოდ, საჭმლის, ტანსაცმლისა და საოჯახო ნივთების შესაძენად გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება ქალებში უფრო გავრცელებულია, ვიდრე კაცებში; რაც შეეხება ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც უკავშირდება, მაგალითად, ბავშვების მომავალს, აქ კაცების დამოუკიდებლობა, ქალებთან შედარებით, მატულობს (იხ. დიაგრამები 4, 5)

3.4. კაცების ჩართვა ბავშვის აღზრდის პროცესში

კვლევა შეეხო კაცების ჩართვას შემდეგი ასაკობრივი ჯგუფების ბავშვების აღზრდის პროცესში: 0-დან 6 წლის ჩათვლით, 7-დან 12 წლის ჩათვლით და 13-დან 18 წლის ჩათვლით[6].

0-დან 6 წლის ჩათვლით ბავშვების აღზრდის პროცესში კაცების ყოველდღიური ჩართვა ბავშვთან თამაშით/საუბრით შემოიფარგლება. კაცების 90% აცხადებს, რომ ყოველდღიურად ეთამაშება/ესაუბრება ბავშვს. იმ კაცების ხვედრითი წილი, რომლებიც ყოველდღიურად ამზადებენ საჭმელს ბავშვისთვის, უცვლიან ტანსაცმელს/საფენებს, აბანავებენ, მიჰყავთ საბავშვო ბაღში/სკოლაში, მიჰყავთ გასართობად და უკითხავენ წიგნებს, ჯამში 18%-ს არ აღემატება.

7-დან 12 წლის ჩათვლით ბავშვის მოვლის პრაქტიკაში მონაწილეობის შემთხვევაში ბავშვთან თამაშს საუბარი ანაცვლებს. ეს უკანასკნელი ერთადერთი აქტივობაა, რომელშიც მამების უმრავლესობა ყოველდღიურად ერთვება. 7-დან 12 წლის ჩათვლით ბავშვზე ზრუნვის პროცესში ისეთ აქტივობებში, როგორიცაა ბავშვისთვის საჭმლის მომზადება, ტანსაცმლის გარეცხვა და წიგნების წაკითხვა, კაცების ჩართვის წილი მცირდება და 7%-ს არ აღემატება.

13-დან 18 წლის ჩათვლით მოზარდის აღზრდის პროცესში მამების მონაწილეობა, წინა ასაკობრივ კატეგორიებთან შედარებით, კიდევ უფრო იკლებს. კაცების ყოველდღიური მონაწილეობა ისეთ აქტივობებში, როგორიცაა საკითხავი ლიტერატურის შერჩევაში დახმარება, მასწავლებელთან საუბარი, საჭიროების შემთხვევაში საშინაო დავალების მომზადებაში დახმარება და ტანსაცმლის გარეცხვა, 4%-ს არ აღემატება.

როგორც ჩანს, ბავშვის მოვლის თვალსაზრისით მამები უფრო მეტად ისეთ საქმეებს ასრულებენ, რომლებიც ჰინიენური პირობების დაცვას და სამზარეულოს არ უკავშირდება ან სახლიდან გასვლას მოითხოვს. ასეთი საქმეებია: ბავშვთან თამაში ან საუბარი, ბავშვის გასართობად წაყვანა, ბავშ(ებ)ისთვის წიგნების წაკითხვა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ, თამაშის/საუბრის გარდა, ბავშვზე ზრუნვის სხვა დასახელებულ აქტივობებს მამები თვეში რამდენჯერმე ასრულებენ და არა ყოველდღიურად (იხ. ცხრილი 6).

3.5. გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულება

გენდერული თანასწორობის მიმართ არსებული სხვადასხვა დამოკიდებულების შესასწავლად კვლევაში გამოყენებულია ე.წ. გენდერული თანასწორობის სკალა, რომელიც სხვადასხვა დებულებას მოიცავს. დებულებები ეხება გენდერულ ურთიერთობებს, მასკულინობის აღქმას, სექსუალობასა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ საზოგადოებაში სოციალური როლების განაწილებას აშკარად ახასიათებს გენდერული ნიშანი, რაც ინდივიდებს სპეციფიკურ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს აკისრებს. კერძოდ, რესპონდენტთა უმრავლესობისთვის მისაღებია სხვადასხვა სახის გენდერული როლების არსებობა, როგორიცაა:

- ქალის მთავარ მოვალეობად ოჯახზე ზრუნვის მიჩნევა;
- ბავშვების მოვლის (საფენების გამოცვლა, დაბანა და გამოკვება) დედების პასუხისმგებლობად მიჩნევა;
- სახლში კაცისთვის გადამწყვეტი სიტყვის მიკუთვნება;
- ქალის მიერ მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მოთმენის ვალდებულება ოჯახის შენარჩუნების მიზნით.

უფრო კონკრეტულად გამოკითხვის შედეგები გენდერული თანასწორობის/უთანასწორობის აღმწერ დებულებებთან დაკავშირებით ასეთია:

დებულებას, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა, რესპონდენტთა 89% ეთანხმება. აღნიშნულ დებულებას კაცების 93% და ქალების 86% სავსებით ან ნაწილობრივ ეთანხმება. ახალგაზრდა გოგონები (18-24 წლის), უფროსი ასაკობრივი კატეგორიის

6 იგულისხმებიან მეუღლესთან/პარტნიორთან ერთად მცხოვრები კაცები, რომლებსაც ამჟამად ჰყავთ აღნიშნული ასაკობრივი კატეგორიის შვილ(ებ)ი.

ცხრილი 6: კაცების მონათხრობი ბავშვზე ზრუნვის პროცესში საკუთარი ჩართულობის შესახებ

0-დან 6 წლის ჩათვლით ბავშვები	თითქმის ყოველდღე	კვირაში ერთხელ/ თვეში რამდენჯერმე	უფრო იშვითად, ვიდრე თვეში რამდენჯერმე	თითქმის არასდროს
ბავშვთან თამაში/საუბარი	90% N=111	7% N=9	2% N=3	-
ბავშვისთვის საჭმლის მომზადება	15% N=19	24% N=29	27% N=33	34% N=42
ბავშვისთვის საფენების/ტანსაცმლის გამოცვლა	17% N=21	26% N=32	26% N=32	30% N=37
ბავშვის დაბანა	12% N=14	26% N=32	21% N=25	42% N=51
როცა მეუღლე ავადაა, ბავშვთან სახლში დარჩენა	26% N=32	43% N=53	18% N=22	13% N=16
ბავშვის სკოლაში/ბაღში წაყვანა და გამოყვანა	18% N=19	21% N=22	8% N=9	53% N=57
ბავშვის გასართობად წაყვანა	18% N=22	52% N=62	16% N=19	13% N=16
ბავშვისთვის წიგნების კითხვა	11% N=14	30% N=37	15% N=19	43% N=53
7-დან 12 წლის ჩათვლით ბავშვები				
ბავშვთან თამაში/ვარჯიში	48% N=43	34% N=30	18% N=16	-
ბავშვთან საუბარი	81% N=71	17% N=15	2% N=2	-
ბავშვთან სახლში დარჩენა, როცა მეუღლე ავადაა	31% N=27	35% N=31	30% N=26	5% N=4
ბავშვის სკოლაში წაყვანა/წამოყვანა	64% N=86	12% N=16	14% N=19	10% N=13
საშინაო დავალების მომზადებაში დახმარება	26% N=23	34% N=30	28% N=25	11% N=10
გასართობად წაყვანა	14% N=12	42% N=37	36% N=32	9% N=8
საჭმლის მომზადება	7% N=6	21% N=18	25% N=22	48% N=42
ტანსაცმლის გარეცხვა	6% N=5	7% N=6	6% N=5	82% N=73
წიგნების წაკითხვა	7% N=6	32% N=28	25% N=22	37% N=33
მასწავლებელთან საუბარი	5% N=4	33% N=29	19% N=17	44% N=39
13-დან 18 წლის ჩათვლით მოზარდი				
შვილთან თამაში/ვარჯიში	15% N=19	30% N=38	27% N=34	28% N=36
პრობლემებზე საუბარი	42% N=53	39% N=50	13% N=16	6% N=8
საკითხავი ლიტერატურის შერჩევაში დახმარება	0.8% N=1	29% N=37	35% N=44	35% N=45
მასწავლებელთან საუბარი	3.1% N=4	24% N=31	24% N=30	49% N=62
საშინაო დავალების მომზადებაში დახმარება	4% N=5	32% N=41	30% N=38	34% N=43
კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება ერთობლივად	-	17% N=22	44% N=56	39% N=49
საჭმლის მომზადება	8% N=10	13% N=17	22% N=28	57% N=72
ტანსაცმლის გარეცხვა	4% N=5	6% N=7	6% N=7	85% N=108

ქალებთან შედარებით, ნაკლებად იზიარებენ მოსაზრებას, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა. 18-24 წლის გოგონებს შორის 77% ეთანხმება, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა, ხოლო 25 და მეტი წლის ქალებს შორის მათი ხვედრითი წილი, ვინც ქალის მთავარ მოვალეობად ოჯახზე ზრუნვას მიიჩნევს, 83%-ზე ნაკლები არც ერთ ასაკობრივ კატეგორიაში არ არის. კაცების შემთხვევაში აღნიშნულ დებულებასთან მიმართებაში არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გენდერული თანასწორობის შესახებ მათი შეხედულებები დროის სვლასთან ერთად პროგრესს განიცდის. კაცებს შორის იმათი ხვედრითი წილი, ვინ იზიარებს, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა, 90%-ზე ნაკლები არც ერთ ასაკობრივ კატეგორიაში არ არის (იხ. დიაგრამა 6 და ცხრილი 7).

დებულებას, რომ „ბავშვ(ებ)ისთვის საფენების გამოცვლა, ბავშვ(ებ)ის დაბანა და ბავშვ(ებ)ის გამოკვება ძირითადად დედების პასუხისმგებლობაა“, გამოკითხულთა 77% იზიარებს. კაცებსა და ქალებს შორის აღნიშნული დებულების გაზიარების ხარისხი პრაქტიკულად თანაბარია (შესაბამისად, 81% და 76%). კვლევა აჩვენებს, რომ ბავშვების მოვლის მხოლოდ ქალების პასუხისმგებლობად მიჩნევის კულტურული

დიაგრამა 6: კაცებისა და ქალების დამოკიდებულება ოჯახზე ზრუნვის ქალის მთავარ მოვალეობად მიჩნევის მიმართ



ცხრილი 7: დამოკიდებულება დებულებისადმი; „ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა,“ სქესისა და ასაკობრივი კატეგორიების ჭრილში

რამდენად ეთანხმებით, რომ ქალის მთავარი მოვალეობაა ოჯახზე ზრუნვა								
სქესი		ასაკობრივი კატეგორიები						სულ
		18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +	
მდედრობითი	ვეთანხმები	77,0%	88,2%	82,5%	83,1%	88,8%	92,1%	85,2%
	არ ვეთანხმები	22,1%	11,8%	17,5%	16,4%	11,2%	7,0%	14,4%
	მიჭირს პასუხი	1,0%			0,5%		0,9%	0,4%
	სულ	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%
მამრობითი	ვეთანხმები	90,8%	92,8%	89,8%	94,8%	90,2%	94,1%	92,2%
	არ ვეთანხმები	9,2%	6,7%	10,2%	4,7%	9,8%	5,9%	7,6%
	მიჭირს პასუხი		0,5%		0,5%			0,2%
	სულ	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

ეტალონი დროთა განმავლობაში რამდენადმე იცვლება როგორც ქალების, ისე კაცების შემთხვევაში: 18-24 წლის ასაკობრივი კატეგორიის ადამიანებს შორის, უფროს ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, მცირდება მათი ხვედრითი წილი, ვინც იზიარებს მოსაზრებას, რომ ბავშვების მოვლა მხოლოდ ქალების მოვალეობაა (თუმცა თვით 18-24 წლის ახალგაზრდებს შორისაც კი ამ მოსაზრებას გამოკვეთილი უმრავლესობა ემხრობა) (იხ. დიაგრამა 7 და ცხრილი 8).

დებულებას, რომ „სახლში გადამწყვეტი სიტყვა კაცს ეკუთვნის," გამოკითხულთა 78% ეთანხმება. ქალების შემთხვევაში აღნიშნულ მოსაზრებას უფრო ნაკლები ადამიანი (71%) იზიარებს, ვიდრე კაცების შემთხვევაში (88%). ამასთან, ქალებთან შედარებით, კაცების გენდერული როლების აღქმის პატერნები შედარებით მყარია და ნელა იცვლება, რაც ადასტურებს მოსაზრებას, რომ მამაკაცები უფრო კონსერვატორულად არიან განწყობილნი და ის ფაქტორები, რომლებიც დროთა განმავლობაში ქალების შეხედულებების ეტაპობრივ ლიბერალიზაციას იწვევს, კაცების შეხედულებებზე ნაკლებ გავლენას ახდენს (იხ. დიაგრამა 8 და ცხრილი 9).

დებულებას „ქალებისათვის უფლებების მინიჭება ნიშნავს, რომ კაცები კარგავენ უფლებებს" რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (80%) ნაწილობრივ ან სრულიად არ ეთანხმება. როგორც ჩანს, ქალთა და კაცთა უფლებების ერთმანეთთან მიმართებაში

დიაგრამა 7: ბავშვისთვის საფენების გამოცვლის, დაბანისა და გამოკვების ძირითადად დედების პასუხისმგებლობად მიჩნევის მიმართ დამოკიდებულება



ცხრილი 8: ბავშვისათვის საფენების გამოცვლის, ბავშვის დაბანისა და გამოკვების ძირითადად დედების პასუხისმგებლობად მიჩნევის მიმართ დამოკიდებულება სხვადასხვა სქესის და ასაკობრივ ჯგუფებში

რამდენად ეთანხმებით, რომ- ბავშვისთვის საფენების გამოცვლა, ბავშვის დაბანა და გამოკვება ძირითადად დედების პასუხისმგებლობაა								
სქესი		ასაკობრივი კატეგორიები						სულ
		18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +	
მდედრ-ობითი	ვეთანხმები	69,6%	73,4%	70,6%	71,7%	76,9%	84,0%	74,2%
	არ ვეთანხმები	28,9%	24,1%	28,9%	26,0%	21,9%	13,1%	24,0%
	მიჭირს პასუხი	1,5%	2,5%	0,4%	2,3%	1,2%	2,8%	1,8%
	სულ	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%
მამრობითი	ვეთანხმები	73,4%	76,1%	78,9%	79,7%	81,0%	89,8%	79,5%
	არ ვეთანხმები	23,6%	23,4%	19,7%	19,8%	16,0%	9,1%	18,9%
	მიჭირს პასუხი	3,1%	0,5%	1,4%	0,5%	3,1%	1,1%	1,6%
	სულ	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

დიაგრამა 8: კაცებისა და ქალების დამოკიდებულება ოჯახში გადამწყვეტი სიტყვის კაცებისთვის მინიჭების მიმართ



ცხრილი 9: კაცებისა და ქალების დამოკიდებულება ოჯახში გადამწყვეტი სიტყვის კაცებისთვის მინიჭების მიმართ სქესისა და ასაკობრივი კატეგორიების ჭრილში

რამდენად ეთანხმებით, რომ -სახლში გადამწყვეტი სიტყვა კაცს ეკუთვნის								
სქესი		ასაკობრივი კატეგორიები						სულ
		18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +	
მდედრ-ობითი	ვეთანხმები	58,0%	67,2%	65,5%	67,6%	78,8%	83,3%	69,7%
	არ ვეთანხმები	40,5%	31,1%	33,2%	31,5%	19,4%	14,4%	28,7%
	მიჭირს პასუხი	1,5%	1,7%	1,3%	0,9%	1,8%	2,3%	1,6%
	სულ	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%
მამრობითი	ვეთანხმები	84,7%	86,7%	85,7%	86,5%	85,9%	92,5%	87,0%
	არ ვეთანხმები	14,4%	12,9%	12,2%	12,0%	14,1%	7,5%	12,2%
	მიჭირს პასუხი	0,9%	0,5%	2,0%	1,6%			0,8%
	სულ	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

უკუპროპორციულად განხილვა უკიდურეს უთანასწორობად განიხილება და მხარდაჭერილი არ არის.

რესპონდენტთა უმრავლესობა (52%) სავსებით ან ნაწილობრივ იზიარებს მოსაზრებას, რომ დღესდღეობით გენდერული თანასწორობა უკვე მიღწეულია (თუმცა იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც სავსებით ეთანხმებიან აღნიშნულ მოსაზრებას, 16%-ს არ აღემატება). იკვეთება, რომ ბოლო ოთხი-ხუთი ათეული წლის განმავლობაში გენდერული თანასწორობის არსებობის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება რამდენადმე შეიცვალა: როგორც ქალებს, ასევე კაცებს შორის შემცირდა იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომელთა მოსაზრებითაც დღესდღეობით ქალსა და კაცს შორის თანასწორობა უკვე მიღწეულია (იხ. დიაგრამა 9 და ცხრილი 10).

გამოკითხულთა უმრავლესობას (58%) გენდერული თანასწორობის მისაღწევად ბრძოლა საზოგადოების ყველა წევრისთვის სასარგებლოდ მიაჩნია. იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც სავსებით ან ნაწილობრივ მაინც იზიარებენ დებულებას, რომ „გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლას მხოლოდ მდიდარი ადამიანებისთვის მოაქვს სარგებელი“, 23%-ია. აღნიშნული დებულებისადმი ადამიანთა სხვადასხვა დამოკიდებულებას დინამიკაში თუ გავაანალიზებთ, ჩანს, რომ ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით ადამიანთა შეხედულებები მსგავსია (იხ. დიაგრამა 10 და ცხრილი 11).

დებულებას, რომ „ჩვეულებრივ, ქალები უფრო იმსახურებენ ცემას, ვიდრე მამაკაცები“, რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (80%) ნაწილობრივ ან სრულიად არ ეთანხმება.

ფიზიკური ძალადობის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას რესპონდენტები იმ

დიაგრამა 9: დღესდღეობით, ქალსა და კაცს შორის თანასწორობის არსებობის მიმართ დამოკიდებულება



ცხრილი 10: დამოკიდებულება დებულებისადმი: „თანასწორობა ქალსა და კაცს შორის უკვე მიღწეულია" სქესისა და ასაკობრივი კატეგორიების ჭრილში

რამდენად ეთანხმებით, რომ - თანასწორობა ქალსა და კაცს შორის უკვე მიღწეულია								
სქესი		ასაკობრივი კატეგორიები						სულ
		18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +	
მდედრو-ბითი	ვეთანხმები	42,9%	43,3%	48,9%	54,8%	54,1%	50,0%	48,8%
	არ ვეთანხმები	55,1%	54,2%	48,1%	38,8%	44,1%	37,9%	46,5%
	მიჭირს პასუხი	2,0%	2,5%	3,0%	6,4%	1,8%	12,1%	4,7%
	სულ	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%
მამრობითი	ვეთანხმები	42,4%	51,9%	55,8%	63,2%	54,9%	64,5%	54,9%
	არ ვეთანხმები	54,6%	44,3%	42,2%	34,7%	41,5%	32,3%	42,1%
	მიჭირს პასუხი	3,1%	3,8%	2,0%	2,1%	3,7%	3,2%	3,0%
	სულ	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

დიაგრამა 10: დამოკიდებულება დებულებისადმი, რომ გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლას მხოლოდ მდიდარი ადამიანებისთვის მოაქვს სარგებელი



ცხრილი 11: დამოკიდებულება დებულებისადმი: ,,დღესდღეობით ქალსა და კაცს შორის თანასწორობისათვის ბრძოლას მხოლოდ მდიდარი ადამიანებისათვის მოაქვს სარგებელი"

რამდენად ეთანხმებით, რომ- დღესდღეობით, ქალსა და კაცს შორის თანასწორობისათვის ბრძოლას მხოლოდ მდიდარი ადამიანებისთვის მოაქვს სარგებელი								
სქესი		ასაკობრივი კატეგორიები						სულ
		18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +	
მდედრობითი	ვეთანხმები	24,4%	29,8%	28,2%	22,4%	27,2%	23,4%	26,0%
	არ ვეთანხმები	62,0%	55,5%	56,0%	57,1%	52,7%	37,9%	53,6%
	მიჭირს პასუხი	13,7%	14,7%	15,8%	20,5%	20,1%	38,8%	20,5%
	სულ	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%
მამრობითი	ვეთანხმები	20,5%	19,5%	29,9%	21,8%	27,4%	23,0%	23,2%
	არ ვეთანხმები	61,1%	64,3%	53,7%	65,3%	54,9%	47,6%	58,3%
	მიჭირს პასუხი	18,3%	16,2%	16,3%	13,0%	17,7%	29,4%	18,5%
	სულ	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

შემთხვევაშიც ინარჩუნებენ, როდესაც საქმე ოჯახის მთლიანობის შენაჩუნებას ეხება. კაცების მხოლოდ 14% და ქალების მხოლოდ 10% ეთანხმება, რომ „ქალმა უნდა მოითმინოს ფიზიკური შეურაცხყოფა, რათა შეინარჩუნოს ოჯახი". თუმცა ვითარება დიამეტრულად იცვლება, როდესაც საქმე სიტყვიერ (ფსიქოლოგიურ) შეურაცხყოფას ეხება: კაცების 65% და ქალების 53% ეთანხმება დებულებას, რომ „ქალმა უნდა მოითმინოს სიტყვიერი შეურაცხყოფა, რათა შეინარჩუნოს ოჯახი".

კაცებისა და ქალების თანაბარი რაოდენობა (საშუალოდ 40%) ეთანხმება დებულებას: „იმისათვის, რომ იყო კაცი, შენ გჭირდება იყო ფიზიკურად ძლიერი".

3.6 ოჯახური ურთიერთობები

საქართველოს მოსახლეობის 83%-ს, სანამ ისინი 18 წლის გახდებოდნენ, უსაფრთხო სქესობრივი ცხოვრების წესების შესახებ მშობლები არ ესაუბრებოდნენ. სექსის თემაზე საუბარი ტაბუირებულია როგორც ბიჭებთან, ისე გოგონებთან. გამოკითხვა აჩვენებს, რომ ბოლო 50 წლის განმავლობაში საქართველოში უსაფრთხო სქესობრივი ცხოვრების შესახებ მოზარდებისთვის ინფორმაციის მიწოდების პატერნები თანდათანობით იცვლებოდა. 65 და უფრო მეტი წლის ასაკობრივი კატეგორიის ადამიანების 91% აცხადებს, რომ მოზარდობის პერიოდში სქესობრივი ცხოვრების შესახებ მშობლები ინფორმაციას არ აწვდიდნენ. დროის სვლასთან ერთად იმატებს იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებსაც მოზარდობისას მშობლები უსაფრთხო სქესობრივი ცხოვრების წესების შესახებ ესაუბრებოდნენ. რაც უფრო მეტად არის ჩართული ოჯახში მცხოვრები კაცი სხვადასხვა საოჯახო პრაქტიკაში, მით მეტია ოჯახში მოზარდისთვის უსაფრთხო სქესობრივი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მაჩვენებელი. გამოვლინდა, რომ რესპონდენტების 40%-ს 18 წლამდე სქესობრივი გამოცდილება ჰქონდა.

18 წლამდე სქესობრივი კავშირის გამოცდილება კაცების 69%-ს და ქალების 16%-ს ჰქონია. ადამიანის სქესსა და 18 წლამდე სქესობრივი გამოცდილების ქონას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი იკვეთება (იხ. დიაგრამები 12; 13; 14 და ცხრილი 13).

რესპონდენტთა 23% აღნიშნავს, რომ ერთხელ მაინც ჰქონია შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტის გამოცდილება. ამ შემთხვევაში კაცების გამოცდილება, ქალებთან შედარებით, დიამეტრულად განსხვავებულია: კაცების უმრავლესობა (52%) აცხადებს, რომ ერთხელ მაინც ჰქონია სექსი შემთხვევით პარტნიორთან, ხოლო ქალების 95%-ს შემთხვევით პარტნიორთან სექსი არასდროს ჰქონია. (იხ დიაგრამა 15).

დებულებას, რომ „ქალები არიან პასუხისმგებელნი, თავი დაიცვან არასასურველი ორსულობისგან", რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (70%) (ქალების 71% და კაცების 68%) ეთანხმება. რესპონდენტთა ასევე გამოკვეთილი უმრავლესობის (76%) მოსაზრებით, ქალმა და კაცმა ერთად უნდა გადაწყვიტონ, რა სახის კონტრაცეპტივს (ოჯახის დაგეგმვის საშუალებას) გა-

დიაგრამა 11: ქალის მიმართ ფიზიკური ძალადობისადმი დამოკიდებულება სქესის ჭრილში



ცხრილი 12: დამოკიდებულება დებულებისადმი „ჩვეულებრივ, ქალები უფრო იმსახურებენ ცემას, ვიდრე კაცები“ სქესისა და ასაკობრივი კატეგორიების ჭრილშიჩვრო იმსახურებენ ცემას, ვიდრე მაცებესისა და ასაკობრივი კატეგორიების ჭრილში

რამდენად ეთანხმებით, რომ- ჩვეულებრივ ქალები უფრო იმსახურებენ ცემას, ვიდრე მამაკაცები								
სქესი		ასაკობრივი კატეგორიები						სულ
		18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +	
მდედრო-ბითი	ვეთანხმები	3,9%	4,2%	6,4%	7,8%	7,6%	12,2%	7,0%
	არ ვეთანხმები	89,7%	87,0%	86,8%	86,8%	85,3%	74,6%	85,1%
	მიჭირს პასუხი	6,4%	8,8%	6,8%	5,5%	7,1%	13,1%	8,0%
	სულ	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%
მამრობითი	ვეთანხმები	10,5%	8,6%	8,1%	8,3%	16,6%	19,3%	11,8%
	არ ვეთანხმები	81,1%	85,7%	82,4%	83,4%	73,0%	65,2%	78,7%
	მიჭირს პასუხი	8,3%	5,7%	9,5%	8,3%	10,4%	15,5%	9,5%
	სულ	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

დიაგრამა 12: მშობლების მიერ მოზარდებისათვის უსაფრთხო სქესობრივი ცხოვრების წესების შესახებ ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა პრაქტიკა



დიაგრამა 13: მოზარდობის პერიოდში უსაფრთხო სქესობრივი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა პრაქტიკაზე მამების საოჯახო საქმეებში მონაწილეობის გავლენა



ცხრილი 13: უსაფრთხო სქესობრივი ცხოვრების წესების შესახებ მოზარდებისთვის ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა პრაქტიკა ასაკობრივი კატეგორიებისა და სქესის ჭრილში

სქესი		ასაკობრივი კატეგორიები						სულ
		18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +	
მდედრ-ობითი	დიახ, მესაუბრე-ბოდნენ	17,2%	21,4%	13,2%	11,0%	14,1%	7,5%	14,2%
	არ მესაუბრე-ბოდნენ	81,9%	78,2%	83,3%	89,0%	85,3%	90,7%	84,6%
	მიჭირს პასუხი	1,0%	0,4%	3,4%	0%	0,6%	1,9%	1,3%
	სულ	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%
მამრო-ბითი	ვეთანხმები	28,9%	18,1%	17,0%	11,4%	7,9%	6,9%	15,7%
	არ ვეთანხმები	66,7%	77,6%	77,6%	85,5%	90,2%	90,4%	80,7%
	მიჭირს პასუხი	4,4%	4,3%	5,4%	3,1%	1,8%	2,7%	3,6%
	სულ	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

დიაგრამა 14: 18 წლამდე სქესობრივი გამოცდილების სხვადასხვა პრაქტიკის სიხშირული განაწილება



მოიყენებენ. გამოკითხულთა 72%-თვის მისაღებია, თუკი ცოლი/ქმარი სთხოვს კონდომის გამოყენებას. ქალებისა და კაცებისათვის თანაბრად მისაღებია სექსუალური პარტნიორის მიერ კონდომის გამოყენების თხოვნა (იხ. დიაგრამა 16; 17; 18).

მეუღლესთან/პარტნიორთან მცხოვრები კაცების 45%-ის განცხადებით, მათ პარტნიორს ერთხელ მაინც გაუკეთებია აბორტი. აბორტის გაკეთების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში კაცების 37% იღებდა მონაწილეობას.

პარტნიორთან/მეუღლესთან მცხოვრები ქალების 9.3% აცხადებს, რომ სქესის შერჩევის მიზნით აბორტი გაუკეთებია, ხოლო კაცების შემთხვევაში 1.7% ამბობს, რომ სქესის შერჩევის მიზნით მათ მეუღლეს/პარტნიორს აბორტი გაუკეთებია.

კაცთა 54%-ის თქმით, ისინი ორსულობის პერიოდში მეუღლეებს/პარტნიორებს ექიმთან კონსულტაციაზე დაჰყვებოდნენ. შვილის დაბადებას სამშობიარო ბლოკში კაცთა მხოლოდ 4.5% ესწრებოდა.ეს მონაცემები არ იცვლება იმის მიხედვით, თუ რომელ ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება კაცი ან განათლების რა ცენზის მფლობელია.

გამოკითხულთა 47% მეუღლესთან/პარტნიორთან სექსუალური ურთიერთობით სავსებით კმაყოფილია. ამ თვალსაზრისით ქალები, კაცებთან შედარებით, რამდენადმე ნაკლებად აფიქსირებენ სრულ კმაყოფილებას. კაცების 51%, ხოლო ქალების 44% აცხადებს, რომ სრულიად კმაყოფილია პარტნიორთან სექსუალური კავშირით (იხ. დიაგრამა 19).

საერთო ჯამში, გენდერულ თანასწორობასთან, ძალადობასთან, მასკულინობასთან, სექსუალობასთან, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გამოკითხვის მონაცემები თავმოყრილია მე-14 ცხრილში.

დიაგრამა 15: შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტის გამოცდილების სიხშირული განაწილება



დიაგრამა 16: პასუხისმგებლობა არასასურველი ორსულობის თავიდან ასაცილებლად



დიაგრამა 17: ოჯახის დაგეგმვის საშუალების პარტნიორების მიერ ერთობლივად არჩევისადმი დამოკიდებულება



დიაგრამა 18: პარტნიორის მიერ კონდომის გამოყენების თხოვნისადმი დამოკიდებულება



დიაგრამა 19: მეუღლესთან/პარტნიორთან სქესობრივი ურთიერთობის შეფასება



ცხრილი 14: გენდერული ურთიერთობების, მასკულინობის, სექსუალობისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართ დამოკიდებულებები

დამოკიდებულებები	კაცები	ქალები
გენდერული ურთიერთობები		
ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა	93% N=1041	86% N=1091
ბავშვისთვის საფენების გამოცვლა, ბავშვის დაბანა და ბავშვის გამოკვება ძირითადად დედების პასუხისმგებლობაა	81% N=898	76% N=949
სახლში გადამწყვეტი სიტყვა კაცს ეკუთვნის	88% N=980	71% N=893
როდესაც ქალები მუშაობენ, კაცებს ამის გამო სამუშაო ადგილები აკლდებათ	20% N=219	12% N=149
ქალებისთვის უფლებების მინიჭება ნიშნავს, რომ კაცები კარგავენ უფლებებს	20% N=216	13% N=155
თანასწორობა მამაკაცსა და ქალს შორის უკვე მიღწეულია	57% N=619	51% N=623
გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლას მხოლოდ მდიდარი ადამიანებისათვის მოაქვს სარგებელი	28% N=262	33% N=332
ძალადობა გენდერის ნიშნით		
ჩვეულებრივ, ქალები უფრო იმსახურებენ ცემას, ვიდრე მამაკაცები	13% N=134	8% N=89
ქალმა უნდა მოითმინოს სიტყვიერი შეურაცხყოფა, რათა შეინარჩუნოს ოჯახი	65% N=711	53% N=668
ქალმა უნდა მოითმინოს ფიზიკური შეურაცხყოფა, რათა შეინარჩუნოს ოჯახი	14% N=150	10% N=127
მასკულინობა		
იმისათვის რომ იყო კაცი, შენ გჭირდება იყო ფიზიკურად ძლიერი	42% N= 448	40% N=446
კაცისთვის უფრო მნიშვნელოვანია კაცი მეგობარი, ვიდრე ქალი მეგობარი	75% N=812	71% N= 826
სექსუალობა და რეპოდუქციული ჯანმრთელობა		
კაცებს უფრო მეტად სჭირდებათ სექსი, ვიდრე ქალებს	57% N=602	55% N= 657
კაცმა და ქალმა ერთად უნდა გადაწყვიტონ, რა სახის კონტრაცეპტივს გამოიყენებენ	74% N=773	78% N=920
ქალები არიან პასუხისმგებელნი, თავი დაიცვან არასასრუველი ორსულობისგან	76% N=777	75% N=904
ჩემთვის მიუღებელი იქნება თუ ცოლი მომთხოვს კონდომის გამოყენებას	29% N=303	27% N=313

3.7 ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან

მეუღლის/პარტნიორის მიმართ ძალადობის ამჟამინდელი სხვადასხვა პრაქტიკა, რესპონდენტთა მონათხრობზე დაყრდნობით, ორი ფაქტორის მიხედვით ერთიანდება:

ფიზიკური ძალადობისა და სიტყვიერი ძალადობის სხვადასხვა მძიმე პრაქტიკა;

სიტყვიერი ძალდობის ე.წ. მსუბუქი პრაქტიკა (მაგალითად, ყვირილი, გინება, ნეგატიური მიმართვები და ა.შ.)

მეუღლისთვის/პარტნიორისთვის (ქალისთვის) ცეცხლსასროლი იარაღით ან დანით დამუქრება აღნიშნულ ორ ფაქტორს შორის მარგინალურ შემთხვევას წარმოადგენს, ანუ არც მძიმე პრაქტიკად ითვლება და არც მსუბუქად.

მეუღლის/პარტნიორის (ქალის) მიმართ ყვრილი, გინება და სხვადასხვა სახის მიმართვებით ტირილამდე მიყვანა, ძალადობის სხვა პრაქტიკასთან შედარებით, მეტად გავრცელებული პრაქტიკაა და, როგორც ფაქტორული ანალიზიდან იკვეთება, ძალადობის მსუბუქ პრაქტიკად არის მიჩნეული (იხ. დიაგრამა 20).

კაცების უმრავლესობა (66%) აცხადებს, რომ ერთხელ მაინც უყვირია მეუღლისთვის/პარტნიორისთვის. 44%-ს მეუღლისთვის/პარტნიორისთვის ერთხელ მაინც უთქვამს

დიაგრამა 20: მეუღლის/პარტნიორის მიმართ ძალადობის ამჟამინდელი სხვადასხვა პრაქტიკის ფაქტორული ანალიზი (ერთ ფაქტორში შემავალი ცვლადები ერთნაირი ფერითაა აღნიშნული)



ცხრილი 15: ქალთა მიმართ ძალადობა

ძალადობის სხვადასხვა პრაქტიკა	კაცების მონათხრობი
გიკრავთ ხელი მეუღლესთვის/პარტნიორისთვის (ერთხელ მაინც)	15%
გაგიწნიათ სილა ან გისროლიაღ რაიმე ნივთი, რომელსაც შესაძლოა ტკივილი მიეყენებინა	12%
დაგირტყამთ მუშტი ან რაიმე ნივთი, რომელსაც შესაძლოა ტკივილი მიეყენებინა	5,3%
დაგირტყამთ ფეხი, გითრევიათ მიწაზე ან ყელში წაგიჭერიათ	3,8%
დამუქრებიხართ ცეცხლსასროლი იარაღი ან დანით	2,4%
გიყვირიათ მისთვის	66%
გითქვამთ უცენზურო სიტყვები (გიგინებიათ)	44%
მიგიყვანიათ ტირილამდე თქვენი მიმართვებით	38%

უცენზურო სიტყვები (უგინებია) 38%-ს მეუღლე/პარტნიორი ერთხელ მაინც მიუყვანია ტირილამდე საკუთარი მიმართვებით. კაცების 12-15% ამბობს, რომ მეუღლისთვის/პარტნიორისთვის ერთხელ მაინც უკრავს ხელი ან გაუწნია სილა. კაცების მონათხრობის მიხედვით, შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული მეუღლისთვის/პარტნიორისთვის მუშტის ან რაიმე ნივთის დარტყმის, ფეხის დარტყმის, მიწაზე თრევისა და ყელში წაჭერის, ასევე ცეცხლსასროლი იარაღით ან დანით დამუქრების პრაქტიკა (იხ. ცხრილი 15).

გამოკითხვა აჩვენებს, რომ ქალები გაცილებით ნაკლებად ძალადობენ მეუღლეებზე, ვიდრე პირიქით. ქალების შემთხვევაშიც ყველაზე გავრცელებულია ძალადობის მსუბუქი ფორმა - ყვირილი. ყოველი მესამე დაოჯახებული ქალი აღნიშნავს, რომ ერთზე მეტჯერ უყვირია მეუღლისთვის (იხ. დიაგრამა 21).

ძალადობის სხვადასხვა პრაქტიკა: ბავშვობის გამოცდილება

ფაქტორული ანალიზის შედეგად ბავშვობაში გამოცდილი ძალადობის სხვადასხვა პრაქტიკა სამ ჯგუფად იყოფა (იხ. დიაგრამა 22):

- მოზარდობისას საკუთარ თავზე გამოცდილი სხვადასხვა ტიპის ძალადობის პრაქტიკა;
- ოჯახში ძალადობა;
- სექსუალური ძალადობა.

რესპონდენტთა მონათხრობით, მოზარდობის პერიოდში განცდილ ძალადობის სხვადასხვა პრაქტიკას შორის შედარებით მეტადაა გავრცელებული სკოლაში მასწავლებლის მიერ განხორციელებული ფიზიკური ძალადობა (ყურის აწევა,

დიაგრამა 21: მეუღლის/პარტნიორის მიმართ ძალადობის ამჟამინდელი სხვადასხვა პრაქტიკის სიხშირული განაწილება



დიაგრამა 22: მეუღლის/პარტნიორის მიმართ ძალადობის ამჟამინდელი სხვადასხვა პრაქტიკის სიხშირული განაწილება



თმის მოქაჩვა და სხვ.) და სახლში მშობლების მხრიდან ცემით დამუქრება (თითქმის ყოველი მეორე რესპონდენტი მასწავლებელთა მხრიდან ფიზიკური ძალადობის ფაქტებზე მიუთითებს, ხოლო დაახლოებით 30% აცხადებს, რომ სახლში ცემით დამუქრებიან). ასევე, რესპონდენტების მონათხრობის მიხედვით, მოზარდობისას გარკვეული სიხშირით გამოუცდიათ ოჯახის წევრების მხრიდან ყვირილი, შეგინება, დაცინვა (გამოუცდია დაახლოებით 40%-ს), აგრეთვე, სილის გაწვნა, თმების მოქაჩვა და სხვ. (გამოუცდია 30%-ზე მეტს) (იხ. დიაგრამა 23).

აღსანიშნავია, რომ ძალადობის სხვადასხვა პრაქტიკაზე ღიად საუბარს, ანონიმურობის გარანტირების მიუხედავად, ადამიანები, ჩვეულებრივ, თავს არიდებენ და ბოლომდე გულწრფელები არ არიან. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ძალადობის სხვადასხვა პრაქტიკის რეალური სიხშირული განაწილება გამოკითხვის მაჩვენებლებს აღემატებოდეს.

სექსუალური ძალადობის მიმართ დამოკიდებულება და რეალური პრაქტიკა

ქალებთან შედარებით, კაცები უფრო მეტად მიიჩნევენ, რომ გაუპატიურება შეიძლება იყოს ქალების სურვილი. ქალების 23% და კაცების 35% სავსებით ან უფრო ეთანხმება დებულებას, რომ „ზოგ შემთხვევაში ქალებს სურთ, ისინი გააუპატიურონ.“ ასევე, კაცების 53%-ის და ქალების 45%-ის მოსაზრებით, ძალადობრივი სექსუალური კონტაქტისას, ქალის მიერ ფიზიკური წინააღმდეგობის გაუწევლობის შემთხვევაში, აღნიშნული კონტაქტის გაუპატიურებად მიჩნევა გამართლებული არ არის. აღსანიშნავია, რომ კაცებისა და ქალების შეხედულებები თითქმის იდენტურია ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა ქალების მიერ გაუფრთხილებლობით გაუპატიურების პროვოცირება და გაუპატიურების მსხვერპლად ცუდი რეპუტაციის მქონე ქალების გახდომა. ქალების 31% და კაცების 36% სავსებით ან უფრო ეთანხმება დებულებას– „ქალებს იმიტომ აუპატიურებენ, რომ ისინი გაუფრთხილებლობით თავად იგდებენ საკუთარ თავს ამ სიტუაციაში“; მეორე მხრივ, ქალების 36% და კაცების 39% სავსებით ან უფრო ეთანხმება დებულებას, რომ „ისეთ

დიაგრამა 23: ბავშვობაში ძალადობის სხვადასხვა პრაქტიკის გამოცდილების სიხშირული განაწილება



ქალებს აუპატიურებენ, რომლებსაც ცუდი რეპუტაცია აქვთ“ (იხ. დიაგრამა 24).

რაც შეეხება სექსუალური ძალადობის რეალურ პრაქტიკას, შესწავლილი იქნა ორი ტიპის პრაქტიკა: ა) სექსი სურვილის საწინააღმდეგოდ და ბ) სექსი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ.

როგორც ქალების, ასევე კაცების შემთხვევაში იძულებითი სქესობრივი კონტაქტების სიხშირული მაჩვენებელი მათ მიერ სხვების მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის მაჩვენებელს აღემატება. კერძოდ, კაცების 11% აცხადებს, რომ მათთან მეუღლეს/პარტნიორს ერთხელ მაინც ჰქონია სექსი მათი (კაცების) სურვილის საწინააღმდეგოდ, მაშინ, როცა ქალების 6% აცხადებს, რომ პარტნიორთან კაცის სურვილის საწინააღმდეგოდ სექსი ჰქონია. ქალების შემთხვევაში 23% აცხადებს, რომ მათთან პარტნიორს იძულებით სექსი ერთხელ მაინც ჰქონია, კაცების 19%-ის მონათხრობით კი ერთხელ მაინც ჰქონიათ სექსი მეუღლესთან/პარტნიორთან მისი (ქალის) სურვილის საწინააღმდეგოდ.

ქალების 6%-ის განცხადებით, მეუღლესთან/პარტნიორთან ერთხელ მაინც ჰქონია სექსი ისე, რომ პარტნიორი იმდენად მთვრალი იყო, რომ ვერ იტყოდა, სექსი სურდა თუ არა. კაცების შემთხვევაში კი 16% აცხადებს, რომ მეუღლეს/პარტნიორს ერთხელ მაინც ჰქონია მათთან სექსი იმდენად მთვრალ მდგომარეობაში, რომ ვერ იტყოდნენ, სექსი სურდათ თუ არა.

ქალების 2%-ის განცხადებით, მათთან მეუღლეს/პარტნიორს სექსი ჰქონია ისე, რომ თავად იმდენად მთვრალები იყვნენ, რომ ვერ იტყოდნენ, სურდათ თუ არა სექსი, ხოლო კაცების 15% ამბობს, რომ ერთხელ მაინც ჰქონიათ სექსი მეუღლესთან/პარტნიორთან ისე, რომ თავად იმდენად მთვრალები იყვნენ, რომ ვერ იტყოდნენ, სურდათ სექსი თუ არა (იხ. დიაგრამები 25; 26).

საზოგადოებაში არსებული გენდერულად განსაზღვრული სხვადასხვა პრაქტიკის

დიაგრამა 24: ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის მიმართ დამოკიდებულება



დიაგრამა 25: მეუღლესთან/პარტნიორთან მისი სურვილის საწინააღმდეგოდ სექსის ქონის პრაქტიკის სიხშირული განაწილება



დიაგრამა 26: რესპონდენტების მიერ საკუთარ თავზე გამოცდილი იძულებითი სექსუალური კონტაქტების სიხშირული განაწილება



4 გენდერულად განსაზღვრული სხვადასხვა პრაქტიკისა და ღირებულებითი ორიენტაციის შედარება XX საუკუნის 45-იანი წლებიდან დღევანდელობამდე

ცვლილებების ხასიათისა და ტემპის დადგენისთვის საჭიროდ ჩავთვალეთ გარკვეული დროითი მონაკვეთების გამოყოფა. გამოვყავით მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე მოყოლებულ პერიოდში რამდენიმე საანალიზო დროითი ერთეული. დროის ამ ინტერვალებისთვის დამახასიათებელი ღირებულებებისა და გენდერული როლების შესახებ მსჯელობისას კი კვლევაში მონაწილე იმ რესპონდენტთა პასუხებს დავეყრდენით, რომელთა ბავშვობის პერიოდი ხსენებულ ინტერვალს ემთხვევა.

პირობითად, მოცემულ შემთხვევაში, ბავშვობის პერიოდად ავიღეთ რესპონდენტის ასაკი 3-5-დან 15 წლამდე, ვინაიდან რესპონდენტების მიერ აღწერილ საკუთარი მშობლების პრაქტიკათა დასადგენად მაქსიმუმ 15 წელი საკმარისი ასაკია, რესპონდენტის 3-5 წელზე ნაკლები ასაკის შემთხვევაში კი მივიჩნიეთ, რომ პრაქტიკათა შესახებ მახსოვრობა არარელევანტური იქნებოდა. შესაბამისად, გამოვყავით საანალიზო დროის შემდეგი პერიოდები:

i. საანალიზო პერიოდი, რომელიც XX საუკუნის 1945-73 წლების პერიოდს მოიცავს. ამ პერიოდის შესახებ მოსაზრებები 55 წლის და მეტი ასაკის ადამიანების მონათხრობს ეყრდნობა;
ii. XX საუკუნის 1974-83 წლების პერიოდი, რომლის შესახებაც 35-54 წლის ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტთა პასუხების შესაბამისად ვიმსჯელებთ;
iii. XX საუკუნის 1984-94 წლების პერიოდი, რომლის ანალიზი 25-34 წლის ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტთა პასუხებს ეფუძნება;
iv. პერიოდი 1995 წლიდან დღემდე, რომელიც, ერთი მხრივ, ეფუძნება 18-24 წლის რესპონდენტთა მონათხრობს საკუთარი მშობლების პრაქტიკის შესახებ, მეორე მხრივ კი - 18-დან 34 წლამდე რესპონდენტთა პასუხებს საკუთარი საოჯახო პრაქტიკისა და ოჯახში ფუნქციების განაწილების შესახებ.

4.1. 1945-73 წლების პერიოდში გენდერულად განსაზღვრული სხვადასხვა პრაქტიკისა და ღირებულებითი ორიენტაციის აღწერა

მოცემულ პერიოდში ჩვენთვის საინტერესო ცვლადების გასაზომად 55 და მეტი წლის რესპონდენტების მონათხრობს ვიყენებთ საკუთარი მშობლების მიერ ოჯახში სხვადასხვა საქმიანობის განაწილების შესახებ. ამ ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტთა 44% ამბობს, რომ ბავშვობაში ძირითადად დედა უვლიდა, რესპონდენტთა 2% მამას ასახელებს, ხოლო რესპონდენტთა 47% ამბობს, რომ მის მოვლაში დედა და მამა ერთობლივად მონაწილეობდნენ (იხ. ცხრილი 16).

საგულისხმოა, რომ ამ პერიოდში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მოსახლეობას ზოგადად განათლების დაბალი ცენზი აქვს როგორც ქალების, ისე კაცების შემთხვევაში, თუმცა კაცების განათლების დონე ქალების განათლების დონეს აღემატება. მაგალითად, 55 და მეტი წლის რესპონდენტების დედების მხოლოდ 10%-ს ჰქონდა უმაღლესი განათლება, მამების შემთხვევაში კი 16%-ს. იმ ქალი და კაცი მშობლების რაოდენობა, რომლებსაც არანაირი განათლება არ მიუღიათ, თითქმის

ცხრილი 16: ცხრილი 16: ბავშვის მოვლის პასუხისმგებლობის განაწილება 1945-1973 წლების პერიოდში

ძირითადად დედა	ძირითადად მამა	დედა და მამა თანაბრად	ძირითადად ბებია-ბაბუა	მამიდა	დეიდა	ბავშვთა სახლი	და-ძმა	ბიძა და ბიცოლა	ძიძა
43,9%	1,9%	46,7%	5,9%	0,3%	0,1%	0,1%	0,6%	0,1%	0,1%

ანალოგიურია და საშუალოდ 5%-ს აღწევს.

კაცები ქალებთან შედარებით გაცილებით ნაკლებად არიან ჩართულნი საოჯახო მეურნეობაში; თუმცა ზოგიერთ სფეროში, როგორიცაა საჭმლის შეძენა ან ბავშვ(ებ)ის მოვლა, შედარებით მეტად მონაწილეობენ. რაც შეეხება ისეთ საქმეებს, რომლებიც შედარებით ,,შავ სამუშაოდ" მიიჩნევა (მაგალითად, ტანსაცმლის დარეცხვა ან აბაზანის დასუფთავება), კაცების უმრავლესობა არასდროს მონაწილეობს.

მოცემული საანალიზო პერიოდის ფარგლებში რესპონდენტთა 44% ამბობს, რომ მათ ოჯახში ბავშვების განათლებასთან დაკავშირებით გადამწყვეტი სიტყვა მამას ეკუთვნოდა, 24%-ის მონაყოლით კი - დედას (იხ. ცხრილი 17). ისეთ საკითხებში, როგორებიცაა ტანსაცმლის შეძენა და საკვებისა და საოჯახო ნივთების შეძენა, რესპონდენტების მონათხრობით, გადამწყვეტი სიტყვა ქალებს ეკუთვნოდათ. რესპონდენტთა 49% ამბობს, რომ ბავშვობაში დედა და მამა თანაბრად უვლიდნენ, რესპონდენტთა 43%-ის თქმით, ბავშვობაში ძირითადად დედა უვლიდა მამას კი რესპონდენტთა მხოლოდ 2% ასახელებს.

რაც შეეხება განათლების დონეს, მოცემულ საანალიზო პერიოდში უმაღლესი განათლება დაოჯახებული ქალების 20%-ს და დაოჯახებული კაცების 23%-ს აქვს. მოცემულ საანალიზო პერიოდში, წინასთან შედარებით, კიდევ უფრო მეტად პოლარიზებულია კაცთა მონაწილეობა გარკვეულ საოჯახო საქმეებში: მცირდება საჭმლის დამზადებაში, პროდუქტების შეძენასა და ბავშვების მოვლაში მათი ჩართვის უარყოფა, სანაცვლოდ, კიდევ უფრო იზრდება ტანსაცლის გარეცხვაში, სააბაზანოს დასუფთავებასა და მსგავს ,,რუტინულ" და ,,შავ სამუშაოებში" კაცთა მონაწილეობის აბსოლუტური უარყოფა.

წინა საანალიზო პერიოდთან შედარებით, ამ პერიოდში დედის გავლენა შვილების განათლების საკითხებზე 25%-დან 19%-

ცხრილი 17: ცხრილი 17: 1945-1973 წლების პერიოდში ოჯახში ბავშვ(ებ)ის განათლებასთან დაკავშირებით გადამწყვეტი სიტყვის მიკუთვნების სიხშირული განაწილება

ვის ეკუთვნოდა ოჯახში გადამწყვეტი სიტყვა ბავშვების განათლებასთან დაკავშირებით?	(%)
დედა	24,5
მამა	43,6
დედა და მამა ერთად	29,3
ბაბუა	0,9
თვითონ ვწყვეტდი	0,4
დეიდა, მამიდა	0,1
ბებია	0,5
ბიძა	0,2
და-ძმა	0,3

4.2. 1974-1983 წლების პერიოდში გენდერულად განსაზღვრული სხვადასხვა პრაქტიკისა და ღირებულებითი ორიენტაციის აღწერა

პირობითად გამოყოფილი მეორე პერიოდი XX საუკუნის 1974-83 წლებს მოიცავს. მოცემულ პერიოდში საკუთარი მშობლების მიერ ოჯახში სხვადასხვა საქმიანობის განაწილების და, აქედან გამომდინარე, გენდერული გარემოს შესახებ ინფორმაციის მისაღებად 35-დან 55 წლამდე რესპონდენტების მონათხრობს ვეყრდნობით.

35-54 წლის ასაკობრივი ჯგუფის მდე მცირდება, მამის მონაწილეობა და გადამწყვეტი სიტყვა ამ საკითხში უცვლელი რჩება, ხოლო ორივე მშობლის მიერ გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების შემთხვევები 29%-დან 36%-მდე მატულობს (იხ. ცხრილი 19).

რაც შეეხება სხვადასხვა საოჯახო საჭიროების ნივთების შეძენას, მოცემულ პერიოდში სურათი შემდეგნაირია: საჭმლის შეძენის შემთხვევაში ქალის გავლენაც და კაცის გავლენაც საბოლოო გადაწყვეტილებაზე წინა საანალიზო პერიოდთან შედარებით 5-5%-ით მცირდება, ხოლო გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების მაჩვენებელი 11%-ით იზრდება. ინდივიდუალური გავლენების შემცირება სწორედ გადაწყვეტილების ერთობლივად

ცხრილი 18: ბავშვის მოვლის პასუხისმგებლობის განაწილება 1974-83 წლების პერიოდში

ძირითადად დედა	ძირითადად მამა	დედა და მამა თანაბრად	ძირითადად ბებია-ბაბუა	მამიდა	დეიდა	ბავშვთა სახლი
43,2%	1,6%	49,2%	5,5%	0,2%	0,2%	0,2%

ცხრილი 19: 1974-83 წლების პერიოდში ოჯახში ბავშვ(ებ)ის განათლებასთან დაკავშირებით გადამწყვეტი სიტყვის მიკუთვნების სიხშირული განაწილება

ვის ეკუთვნოდა ოჯახში გადამწყვეტი სიტყვა ბავშვების განათლებასთან დაკავშირებით?	(%)
დედა	19,1
მამა	43,2
დედა და მამა ერთად	36,4
ბაბუა	0,7
თვითონ ვწყვეტდი	0,4
დეიდა, მამიდა	0,2
ბებია	-
მომვლელი	0,1
ბიძა	-
მამიდა	-

მიღების ზრდის ხარჯზე ხდება. რაც შეეხება ბავშვებისთვის ტანსაცმლის შეძენას, აქაც იგივე ტენდენცია ნარჩუნდება: მცირდება გადაწყვეტილების ინდივიდუალურად მიღების მაჩვენებელი ორივე მშობლის შემთხვევაში (თუმცა მამის შემთხვევაში რამდენადმე უფრო გამოხატულად) და იზრდება გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების მაჩვენებელი. აღნიშნული ტენდენცია ნარჩუნდება საოჯახო ნივთების შეძენის შემთხვევაშიც.

4.3. 1984-1994 წლების პერიოდის გენდერულად განსაზღვრული სხვადასხვა პრაქტიკისა და ღირებულებითი ორიენტაციის აღწერა

პირობითად გამოყოფილი მესამე საანალიზო პერიოდი XX საუკუნის მიწურულს, 1984-94 წლებს მოიცავს. ეს პერიოდი ისტორიაში სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცვლილებების განსაკუთრებული დინამიკით ხასიათდება. ეს დინამიკა კიდევ უფრო თვალშისაცემია პოსტსაბჭოთა სივრცისა და საქართველოს პირობებში, რამდენადაც საბჭოეთის დაშლასაც მოიცავს.

მოცემულ პერიოდში საკუთარი მშობლების მიერ ოჯახში სხვადასხვა საქიანობის განაწილების და, აქედან გამომდინარე, გენდერული გარემოს შესახებ ინფორმაციის მისაღებად 25-დან 35 წლამდე რესპონდენტების მონათხრობს ვეყრდნობით. 25-34 წლის რესპონდენტთა 47% ამბობს, რომ ბავშვობაში დედა და მამა თანაბრად უვლიდნენ, რესპონდენტთა 46%-ის თქმით, ბავშვობაში ძირითადად დედა უვლიდა, მამას კი რესპონდენტთა მხოლოდ 1% ასახელებს.

წინა საანალიზო პერიოდთან შედარებით აქ გენდერული როლების ძალიან სუსტად გამოხატული პოლარიზების ტენდენცია შეიმჩნევა, თუმცა პოლარიზების პროცენტული მაჩვენებელი მეტისმეტად მცირეა არსებითი დასკვნების გასაკეთებლად და შესაძლოა ის უმნიშვნელო იყოს.

ცხრილი 20: ბავშვის მოვლის პასუხისმგებლობის განაწილება 1984-94 წლების პერიოდში

ძირითადად დედა	ძირითადად მამა	დედა და მამა თანაბრად	ძირითადად ბებია-ბაბუა	მამიდა	და-ძმა	ბიძა და ბიცოლა
45,7%	1,1%	46,8%	5,6%	0,3%	0,2%	0,3%

რაც შეეხება განათლების დონეს, მოცემულ საანალიზო პერიოდში ჩანს, რომ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ტენდენცია ზრდას აგრძელებს. წინა პერიოდის ანალოგიურად, იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებსაც არანაირი განათლება არ მიუღიათ, 1%-ზე დაბალია. წინა პერიოდთან შედარებით იზრდება საშუალო ტექნიკური და უმაღლესი

რაც შეეხება ბავშვების აღზრდის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას, წინა საანალიზო პერიოდთან შედარებით გადაწყვეტილების მიღებაში ქალების ზეგავლენა უცვლელი რჩება, კაცების გავლენა კი იკლებს დედისა და მამის მიერ ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებების ზრდის სანაცვლოდ (იხ. ცხრილი 21).

ცხრილი 21: 1984-1994 წლების პერიოდში ოჯახში ბავშვ(ებ)ის განათლებასთან დაკავშირებით გადამწყვეტი სიტყვის მიკუთვნების სიხშირული განაწილება

ვის ეკუთვნოდა ოჯახში გადამწყვეტი სიტყვა ბავშვების განათლებასთან დაკავშირებით?	(%)
დედა	19,5
მამა	36,5
დედა და მამა ერთად	42,8
ბაბუა	0,5
თვითონ ვწყვეტდი	0,6
დეიდა, მამიდა	0,2
ბებია	0,5
ბიძა	0,2
და-ძმა	0,3

განათლების მქონეთა რაოდენობა. საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ქალების რაოდენობა 22%-დან 30%-მდე იზრდება, კაცებისა - 19%-დან 26%-მდე. უმაღლესი განათლების მქონე ქალების რაოდენობა 20%-დან 30%-მდე მატულობს, კაცებისა კი 23%-დან 30%-მდე. ქალების მიერ უმაღლესი განათლების მიღების ტემპის ზრდა აღემატება კაცებისას და უმაღლესი განათლების მქონეთა თვალსაზრისით ქალებსა და კაცებს შორის განსხვავება ქრება.

საინტერესოა, აისახა თუ არა ქალების მიერ განათლების ცენზით კაცებთან გათანაბრება სხვადასხვა საოჯახო პრაქტიკაში. ღრმავდება პოლარიზების ტენდენცია: წინა საანალიზო პერიოდთან შედარებით შემცირებულია საჭმლის დამზადებაში, პროდუქტების შეძენასა და ბავშვების მოვლაში კაცების მონაწილეობის უარყოფა, მაგრამ გაზრდილია სახლის დასუფთავებაში მონაწილეობის უარყოფა. რაც შეეხება საჭმლის, საოჯახო ნივთებისა და ტანსაცმლის შეძენას, წინა საანალიზო პერიოდში გამოკვეთილი ტენდენციები გრძელდება: ქალები მეტად არიან პასუხისგებელნი მსგავს საკითხებში და გადამწყვეტი სიტყვის უფლება მათ რჩებათ. კაცების სიტვის გადამწყვეტი ხასიათი თანდათან იკლებს, სანაცვლოდ იზრდება გადაწყვეტილების ერთად მიღების ტენდენცია.

4.4. 1995-იანი წლებიდან დღემდე პერიოდის გენდერულად განსაზღვრული სხვადასხვა პრაქტიკისა და ღირებულებითი ორიენტაციის აღწერა

შემდგომი საანალიზო პერიოდი 1995 წლიდან დღემდე გრძელდება. ამ პერიოდში არსებული სხვადასხვა პრაქტიკის გასაზომად, ერთი მხრივ, ვეყრდნობით 18-24 წლის რესპონდენტთა მონათხრობს საკუთარი მშობლების საოჯახო პრაქტიკის შესახებ.

მოცემული საანალიზო პერიოდი იმით გამოირჩევა, რომ იზრდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ბავშვზე ძირითადად ერთ-ერთი მშობელი ზრუნავს (ეს ტენდენცია იგივეა როგორც დედის, ისე მამის შემთხვევაში), ხოლო ერთობლივად ზრუნვის შემთხვევათა მაჩვენებელი მცირდება. საინტერესოა, რომ იზრდება ბავშვებზე ბებია-ბაბუის მზრუნველობის შემთხვევათა მაჩვენებელი და 5%-დან 8% ხდება. სავარაუდოდ, ეს ცვლილება გამოწვეულია არა კულტურული, არამედ ეკონომიკური მიზეზებით, რამდენადაც მოცემული პერიოდი პოსტსაბჭოთა პერიოდია და ბავშვებზე ზრუნვის ისეთი სახელმწიფო მექანიზმები, როგორიც, მაგალითად, საავშვო ბაღია, ძველებურად აღარ ფუნქციონირებს. ამას

გარდა, ხდება სამუშაოს საშოვნელად ქვეყნიდან მოსახლეობის დიდი რაოდენობის გადინება, რომლის ნაწილი ახალგაზრდა მშობლები არიან. ეს კატეგორია შვილებს

ცხრილი 22: ბავშვის მოვლის პასუხისმგებლობის განაწილება 1995-იანი წლებიდან დღემდე

ძირითადად დედა	ძირითადად მამა	დედა და მამა თანაბრად	ძირითადად ბებია-ბაბუა	მამიდა	დეიდა
46,1%	2,5%	41,7%	8,4%	0,4%	0,9%

ცხრილი 23: 1995-იანი წლებიდან დღემდე ოჯახში ბავშ(ებ)ის განათლებასთან დაკავშირებით გადამწყვეტი სიტყვის მიკუთვნების სიხშირული განაწილება

ვის ეკუთვნოდა ოჯახში გადამწყვეტი სიტყვა ბავშვებთან დაკავშირებით?	(%)
დედა	17,8
მამა	30,3
დედა და მამა ერთად	49,0
ბაბუა	1,0
თვითონ ვწყვეტდი	0,6
დეიდა მამიდა	0,6

აღსაზრდელად უფროს თაობას - ბებია-ბაბუას ანდობს (იხ. ცხრილი 22).

რაც შეეხება განათლების დონეს, მაჩვენებლები კვლავ უმჯობესდება (ყველა წინა პერიოდთან შედარებით). ამ პერიოდისთვის პრაქტიკულად აღარ არსებობს ქალებისა და კაცების კატეგორია, რომელსაც განათლება საერთოდ არ მიუღია, ხოლო უმაღლესი განათლების მქონეთა წილი მატულობს როგორც ქალებში, ისე კაცებში.

ნარჩუნდება წინა საანალიზო პერიოდში გამოვლენილი ტენდენცია: უმაღლესი განათლების მქონე ქალებსა და კაცებს შორის სხვაობა გამქრალია (38% ქალები, 37% - კაცები).

საოჯახო საქმეების განაწილების დინამიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება: კაცების მონაწილეობის აბსოლუტური უარყოფა თითქმის ყველა საოჯახო პრაქტიკის შემთხვევაში იკლებს, მათ შორის ისეთ პრაქტიკაშიც კი, როგორიცაა ე.წ. ,,შავი სამუშაოები". მაგალითად, სახლის დალაგებაში მონაწილეობის აბსოლუტური უარყოფა 86%-დან 79%-მდე შემცირდა, ტანსაცმლის გარეცხვაში მონაწილეობის უარყოფა - 90%-დან 84%-მდე, სააბაზანოს დასუფთავებაში მონაწილეობის აბსოლუტური უარყოფა კი 91%-დან 87%-მდე.

რაც შეეხება ბავშვების განათლებისა და აღზრდის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებს, წინა საანალიზო პერიოდთან შედარებით როგორც დედის, ისე მამის შემთხვევაში ინდივიდუალური მოსაზრების გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე მცირდება და იზრდება გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების პრაქტიკა (იხ. ცხრილი 23).

4.5. გენდერულად განსაზღვრული სხვადასხვა პრაქტიკისა და ღირებულებითი ორიენტაციის შედარება პერიოდების მიხედვით

სხვადასხვა გენდერული პრაქტიკის ცვლილების დინამიკის გასაზომად გარკვეულ სურათს მოგვცემს მოცემული საანალიზო პერიოდების ურთიერთშედარება.

ბავშ(ებ)ის მოვლის პროცესში თანაბარი ჩართულობა ყველაზე მაღალი უფროსი ასაკის პოპულაციის მშობლების შემთვევაშია - იმ თაობაში, რომლის საოჯახო პრაქტიკა 1945-73 წლებს ემთხვევა. საინტერესოა ისიც, რომ მამის ჩართულობა ბავშვების მოვლაში ყველაზე ნაკლებად მესამე საანალიზო პერიოდისთვის, 1984-94 წლებს შორის შუალედისთვის, არის გამოხატული. რაც შეეხება თანამედროვე პერიოდს, ამ პერიოდში დედის უშუალო მონაწილეობა ბავშვებზე მზრუნველობაში მაქსიმალურია. ამავე პერიოდისთვის მამის, ისევე, როგორც ბებია-ბაბუის ჩართულობა ბავშვის მოვლაში იმატებს. ამავე პერიოდში ყველაზე ნაკლებად გამოხატულია ბავშვებზე მშობლების მხრიდან ერთობლივად ზრუნვის ტენდენცია. ეს შესაძლოა ტრადიციულ

ოჯახურ სტრუქტურაში გაჩენილი დესტრუქციული ნიშნების გამოვლენა იყოს, ვინაიდან მცირდება ბავშვებზე ერთად ზრუნვის ტენდენცია და იზრდება მათზე ინდივიდუალური ზრუნვა როგორც ქალის, ისე კაცის და ბებია-ბაბუის მხრიდან.

საინტერესო ცვლილებებს განიცდის უმაღლესი განათლების მრუდი ამ პერიოდების მიხედვით: პირველი საანალიზო პერიოდიდან მოყოლებული, განათლების ცენზი ქალებშიც და კაცებშიც სწორხაზოვნად იზრდება. ეს შეეხება როგორც საშუალო განათლებას, ისე ტექნიკურს, თუმცა ყველაზე მეტად განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა გამოხატულია უმაღლესი განათლების შემთხვევაში. თუკი პირველ საანალიზო პერიოდში უმაღლესი განათლება ქალების მხოლოდ 10%-ს და კაცების მხოლოდ 16%-ს ჰქონდა, უკანასკნელ საანალიზო პერიოდში, რომელიც თანამედროვეობას ემთხვევა, ეს მონაცემი ქალების შემთხვევაში 38%-მდე იზრდება და პრაქტიკულად უტოლდება კაცების მაჩვენებელს. საგულისხმოა, რომ უმაღლესი განათლების მიღების მაჩვენებლის ზრდა ქალებსა და კაცებს შორის ერთმანეთისგან განსხვავდება. პირველი საანალიზო პერიოდისთვის ქალების დაახლოებით ერთნახევარჯერ ნაკლებს აქვს უმაღლესი განათლება კაცებთან შედარებით, მეორე საანალიზო პერიოდიდან კი ეს განსხვავება თანდათან მცირდება და ბოლოს ქრება (იხ. ცხრილი 24).

იმაზე, თუ რამდენად მოახდინა განათლების ხელმისაწვდომობის ზრდამ გავლენა ქალების დამოუკიდებლობის ზრდაზე, ტრადიციული სტერეოტიპული გენდერული როლების შეცვლაზე და რამდენად გამოიხატა ეს სხვადასხვა საოჯახო პრაქტიკის ცვლილებაში, შეგვიძლია საანალიზო პერიოდში გაზომილი სხვადასხვა საოჯახო პრაქტიკის მაჩვენებლების შედარებით ვიმსჯელოთ.

მონაცემების ანალიზიდან ნათლად იკვეთება საოჯახო პრაქტიკის ორი ჯგუფი: ერთი, სადაც გენდერული მონაწილეობა კანონზომიერად იცვლება და მომდევნო საანალიზო პერიოდებში კაცების ჩართვის აბსოლუტური უარყოფა უფრო და უფრო იკლებს (ანუ კაცი მეტად და მეტად იღებს მონაწილეობას ამ საოჯახო პრაქტიკაში). ასეთი პრაქტიკაა: საკვების შეძენა და ბავშვ(ებ) ის მოვლა. კაცის ჩართულობა თითქმის პროპორციულად იმატებს საკვების შეძენასა და ბავშვ(ებ)ის მოვლაში.

პრაქტიკის მეორე ჯგუფისთვის ცვლილებების კანონზომიერი ტემპი არ დგინდება. ეს მაჩვენებლები ძირითადად უმნიშვნელოდ იცვლება, მაგრამ მათი ცვლილების ლოგიკა დამოკიდებული არ არის გამოყოფილი საანალიზო პერიოდის ცვლილებაზე. დროისა და საზოგადოებრივი განვითარების სოციალურ-კულტურული ასპექტები, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინეს ზოგიერთ საოჯახო საქმეში კაცების მონაწილეობაზე, ამ სხვადასხვა პრაქტიკას ვერ ეხება და ისინი საკუთარ არსებობას თითქმის პირვანდელი სახით ინარჩუნებენ. ასეთ პრაქტიკას მიეკუთვნება: ტანსაცმლის გარეცხვა, სახლის დალაგება და ჰიგიენური პირობების დაცვა.

ცხრილი 24: ქალი და კაცი მშობლების უმაღლესი განათლების მაჩვენებელი საანალიზო პერიოდების მიხედვით

უმაღლესი განათლების მქონე მშობლები	1945-1973	1974-1983	1984-1994	1995-დან დღემდე
ქალი	9,7%	20,3%	30,0%	37,9%
კაცი	16,1%	23,4%	29,4%	36,7%

5 გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულება და საოჯახო საქმეებსა და ბავშვის მოვლის პროცესში ჩართულობის სხვადასხვა პრაქტიკა

როგორც ადრე ითქვა, გენდერული თანასწორობის მიმართ რესპონდენტთა დამოკიდებულება შეფასდა ცალკეული დებულებებისადმი რესპონდენტთა დათანხმების ხარისხის მიხედვით. ეს დებულებები აღწერს გენდერული როლების განაწილების თვალსაზრისით სენსიტიურ პრაქტიკას. თითოეული დებულება ფასდებოდა 4 ბალიან სკალაზე, სადაც ციფრი 1 ნიშნავს „სავსებით ვეთანხმები“, ხოლო 4 - „სრულიად არ ვეთანხმები“. შეირჩა სამი დებულება:

- „ბავშვისთვის საფენების გამოცვლა, ბავშვის დაბანა და ბავშვების გამოკვება ძირითადად დედების პასუხისმგებლობაა“;
- „სახლში გადამწყვეტი სიტყვა კაცს ეკუთვნის“;
- „ქალმა უნდა მოითმინოს სიტყვიერი შეურაცხყოფა, რათა შეინარჩუნოს ოჯახი“.

რესპონდენტების მიერ აღნიშნული დებულებების მიმართ დათანხმების ხარისხის მიხედვით გამოიყო სამი ჯგუფი:

- გენდერული თანასწორობის მიმართ ლოიალურად განწყობილთა ჯგუფი;
- გენდერული თანასწორობის მოწინააღმდეგეების ჯგუფი;
- გენდერული თანასწორობის მიმართ გამოკვეთილი პოზიციის არმქონეთა ჯგუფი.

გენდერული თანასწორობის მიმართ **ლოიალურად** განწყობილთა ჯგუფში ერთიანდებიან რესპონდენტები, რომლებიც დებულებებს: „სახლში გადამწყვეტი სიტყვა კაცს ეკუთვნის“ და „ქალმა უნდა მოითმინოს სიტყვიერი შეურაცხყოფა, რათა შეინარჩუნოს ოჯახი“ ნაწილობრივ ან სრულიად არ ეთანხმებიან, ხოლო დებულებას „ბავშვ(ებ)ისთვის საფენების გამოცვლა, ბავშვ(ებ)ის დაბანა და ბავშვ(ებ)ის გამოკვება ძირითადად დედების პასუხისმგებლობაა“ სრულიად არ ეთანხმებიან.

გენდერული თანასწორობის **მოწინააღმდეგეების** ჯგუფში ის ადამიანები მოიაზრებიან, რომლებიც სამივე დებულებას სავსებით ან ნაწილობრივ ეთანხმებიან.

გენდერული თანასწორობის მიმართ **გამოკვეთილი პოზიციის არმქონეთა** ჯგუფში ის ადამიანები ერთიანდებიან, რომლებიც მკვეთრად გამოხატულ, თანმიმდევრულ შეფასებებს ვერ ახდენენ გენდერული თანასწორობის მიმართ ზემოაღნიშნულ სენსიტიურ დებულებებთან მიმართებით.

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს თითოეული ჯგუფის ხვედრით წილს საქართველოს მოსახლეობაში (იხ. ცხრილი 25).

პირველ ჯგუფს პირობითად (და სიმოკლისთვის) შეიძლება ***„ლოიალურები“*** ვუწოდოთ, მეორე ჯგუფს - ***„რეზისტენტულები“***, ხოლო მესამე ჯგუფს ***„ოპორტუნისტები“***.

5.1 გენდერული თანასწორობის მიმართ სხვადასხვაგვარად განწყობილი ჯგუფების სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი

როგორც ითქვა, გამოკითხულთა შორის „ლოიალურთა“ ხვედრითი წილი 3.7%-ია. ამ ჯგუფის 81%-ს ქალები შეადგენენ. „ლოიალური“ ქალების 59% დაოჯახებულია (ამჟამად ცხოვრობს მეუღლესთან/პარტნიორთან ერთად), ხოლო 41% დაუოჯახებელი (მოიაზრებიან 55 წლის ჩათვლით განქორწინებული და

ცხრილი 25: გენდერული თანასწორობის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულების მქონე ჯგუფების განაწილება საქართველოს მოსახლეობაში

1	გენდერული თანასწორობის მიმართ ლოიალურად განწყობილთა ჯგუფი	3.7 %
2	გენდერული თანასწორობის მოწინააღმდეგეების ჯგუფი	45.5 %
3	გენდერული თანასწორობის მიმართ გამოკვეთილი პოზიციის არმქონეთა ჯგუფი	50.8 %

დაქვრივებული ადამიანებიც, რომლებიც ამჟამად არ ცხოვრობენ პარტნიორთან ერთად). „ლოიალურები“ ძირითადად 35-44 და 18-24 წლების ასაკობრივ კატეგორიას მიეკუთვნებიან: 35-44 წლების ადამიანების ხვედრითი წილი 29%, ხოლო 18-24 წლების ადამიანების ხვედრითი წილი 26%-ია (იხ. ცხრილი 26).

ლოიალურად განწყობილთა ჯგუფის 75% უმაღლესი განათლების მქონეა. ამ ჯგუფში უმაღლესი განათლების მქონე ქალების ხვედრითი წილი (77.1%) აღემატება საშუალო განათლების მქონე ქალების ხვედრით წილს (22.9%).

გენდერული თანასწორობის მოწინააღმ-დეგეების („რეზისტენტულების“) ხვედრითი წილი, როგორც აღინიშნა, 45.5%-ს შეადგენს. „რეზისტენტულთა“ უმრავლესობას კაცები შეადგენენ (53,2%), ხოლო ქალების ხვედრითი წილი 47%-ია. ამ ჯგუფში, სხვა ასაკობრივ კატეგორიებთან შედარებით, მაღალია 65 და მეტი ასაკის ადამიანების პროცენტული მაჩვენებელი (23%) (იხ. ცხრილი 27).

ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით აღნიშნული ტენდენცია ნარჩუნდება როგორც ქალების, ასევე კაცების შემთხვევაში. გენდერული თანასწორობის მოწინააღმდეგე ქალებს შორის 26% 65 და მეტი წლის ქალია, ხოლო კაცების შემთხვევაში 65 და მეტი წლის ასაკობრივ კატეგორიას 20% მიეკუთვნება (იხ. ცხრილი 28).

გენდერული თანასწორობის მოწინააღმ-დეგეთა გამოკვეთილ უმრავლესობა (69%) უმაღლესი განათლების არმქონეა; უმაღლესი განათლების მქონეთა ხვედრითი წილი 31%-ია. აღნიშნული ტენდენცია დასტურდება როგორც ქალების, ასევე კაცების შემთხვევაში. გენდერული თანასწორობის მოწინააღმდეგე ქალების 74%-ს უმაღლესი განათლება არ აქვს, ხოლო კაცების შემთხვევაში 65%-ს არ აქვს უმაღლესი განათლება.

რაც შეეხება „ოპორტუნისტებს“, მათი ხვედრითი წილი მთელი შერჩევის 50.8%-ს შეადგენს. ამ ჯგუფის 57%-ს ქალები, ხოლო 43%-ს კაცები შეადგენენ; „ოპორტუნისტთა“ 64% დაოჯახებელი, ხოლო 36% დაუ-ოჯახებელია; მათი 23% 18-24 წლის, ხოლო 20% - 25-34 წლის ასაკობრივ ჯგუფებს მიეკუთვნება (იხ. ცხრილი 29).

„ოპორტუნისტთა“ ასაკობრივ ჯგუფებში ქალების და კაცების განაწილების

ცხრილი 26: „ლოიალურთა“ სიხშირული განაწილება ასაკობრივი კატეგორიების ჭრილში

ასაკობრივი კატეგორიები					
18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +
25,8%	18,0%	29,2%	11,2%	7,9%	7,9%
მდედრობითი სქესის რესპონდენტებში					
25,7%	18,6%	34,3%	11,4%	4,3%	5,7%

ცხრილი 27: გენდერული თანასწორობის მოწინააღმდეგეთა ჯგუფის სიხშირული განაწილება ასაკობრივი კატეგორიების ჭრილში

ასაკობრივი კატეგორიები					
18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +
11,4%	16,9%	15,0%	17,5%	16,4%	22,7%

ცხრილი 28: გენდერული თანასწორობის მოწინააღმდეგეთა ჯგუფის სიხშირული განაწილება ასაკობრივი კატეგორიებისა და სქესის ჭრილში

სქესი	ასაკობრივი კატეგორიები					
	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +
მდედრობითი	8,2%	15,8%	16,2%	17,8%	16,2%	25,8%
მამრობითი	14,2%	17,8%	13,9%	17,3%	16,6%	20,1%

საერთო შერჩევისთვის დამახასიათებელი ტენდენცია ნარჩუნდება (იხ. ცხრილი 30).

„ოპორტუნისტთა“ უმრავლესობა - 51% - უმაღლესი განათლების მქონეა.

„რეზისტენტული“ ქალების ხვედრითი წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ მხოლოდ ისინი ან ძირითადად ისინი უძღვებიან აღნიშნულ საოჯახო საქმეებს; მეუღლეებთან ამ საქმეების განაწილებაზე „რეზისტენტული“

ცხრილი 29: „ოპორტუნისტთა“ ჯგუფის სიხშირული განაწილება ასაკობრივი კატეგორიების ჭრილში

ასაკობრივი კატეგორიები					
18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +
23,3%	20,2%	15,7%	17,1%	11,9%	11,8%

5.2. გენდერული თანასწორობის მიმართ სხვადასხვაგვარად განწყობილ ჯგუფებში საოჯახო საქმეების განაწილება

კვლევა აჩვენებს, რომ გენდერული თანასწორობის მიმართ „ლოიალურად“ და „რეზისტენტულად“ განწყობილთა ჯგუფები არსებითად განსხვავდება საოჯახო საქმეების შესრულების გამოცდილების თვალსაზრისით. თუმცა არსებობს შეხების წერტილებიც.

„ლოიალურების“ ჯგუფში 73-81%-ის ფარგლებში მერყეობს იმ დაოჯახებული ქალების ხვედრითი წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ მხოლოდ ისინი ან ძირითადად ისინი უძღვებიან შემდეგ საოჯახო საქმეებს: ტანსაცმლის რეცხვა, სახლის დალაგება და აბაზანის დასუფთავება; აღნიშნული საქმეების მეუღლეებთან განაწილებაზე „ლოიალური“ დაოჯახებული ქალების მაქსიმუმ 27% მიუთითებს. ამ ჯგუფში არავინ აცხადებს, რომ დასახელებულ საქმეებს ოჯახში მხოლოდ ან ძირითადად მამაკაცები ასრულებენ.

ტანსაცმლის რეცხვის, სახლის დალაგების და დასუფთავების ექსკლუზიურად „ქალურ“ საქმედ გამოცხადება გაცილებით მძაფრდება გენდერული თანასწორობის მიმართ „რეზისტენტულად“ განწყობილთა ჯგუფში (როგორც ქალებში, ისე კაცებში); მაგალითად, 90-93%-ის ფარგლებში მერყეობს იმ დაოჯახებული დაოჯახებული ქალების მხოლოდ მაქსიმუმ 8% მიუთითებს.

„ლოიალურ“ ქალთა განცხადებით, ქმრების/კაცი პარტნიორების თანამონაწილეობა იზრდება ისეთ საოჯახო საქმეებთან მიმართებაში, როგორიცაა საჭმლის მომზადება (კაცთა თანამონაწილეობაზე მიუთითებს 31%) და ბავშვების მოვლა (კაცთა თანამონაწილეობაზე მიუთითებს 65%).

„რეზისტენტულთა“ ჯგუფში კაცთა თანამონაწილეობა იზრდება ბავშვების მოვლასთან დაკავშირებით (ქმრებთან/პარტიორებთან ერთად აღნიშნულ საქმეში თანაბარ მონაწილეობაზე მიუთითებს „რეზისტენტულ“ დაოჯახებულ ქალთა 29%. თუმცა ისიც აშკარაა, რომ ბავშვის მოვლაში პასუხისმგებლობის თანაბრად განაწილების ხარისხი ამ ჯგუფში დრამატულად ჩამორჩება „ლოიალურთა“ ჯგუფში არსებულ გამოცდილებას.

როგორც „ლოიალურთა“, ისე „რეზისტენტულთა“ ჯგუფებში მეუღლეებს/პარტნიორებს შორის საოჯახო ვალდებულებების თანაბრად განაწილება ყველაზე მეტად იკვეთება ისეთ საქმეებთან მიმართებაში, როგორიცაა საჭმლის ყიდვა და გადასახადების გადახდა. თუმცა ამ საქმეებთან მიმართებაში აღნიშნული ჯგუფების გამოცდილება კვლავ განსხვავდება (ეს განსაკუთრებით საჭმლის ყიდვას ეხება): „ლოიალურ“ დაოჯახებულ ქალთა ჯგუფში მეუღლეთა თანამონაწილეობაზე საჭმლის ყიდვაში

ცხრილი 30: : „ოპორტუნისტთა“ სიხშირული განაწილება ასაკობრივი კატეგორიებისა და სქესის ჭრილში

სქესი	ასაკობრივი კატეგორიები					
	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65 +
მდედრობითი	20,7%	20,6%	18,1%	17,3%	12,1%	11,2%
მამრობითი	26,5%	19,7%	12,5%	17,0%	11,7%	12,7%

მიუთითებს 63%, ხოლო „რეზისტენტულ“ დაოჯახებულ ქალთა ჯგუფში - 46%; გადასახადების გადახდაში მეუღლეთა თანამონაწილეობაზე მიუთითებს „ლოიალურად“ განწყობილ ქალთა 43% და „რეზისტენტულ“ ქალთა 39%.

რაც შეეხება ისეთ საქმეს, როგორიცაა საოჯახო ნივთების შეკეთება, აქ „გამწევი ძალა“ კაცია: როგორც რეზისტენტულად, ისე თვით „ლოიალურად“ განწობილი ქალების უმრავლესობა (60%) აცხადებს, რომ ამ საქმეს ოჯახში მხოლოდ ან ძირითადად მამაკაცები უძღვებიან.

რეზისტენტულად განწყობილი ქალების მიერ აღწერილ ზემოაღნიშნულ სურათს ამ ჯგუფის დაოჯახებული კაცებიც ადასტურებენ („ლოიალურთა“ ჯგუფში კაცების რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ ამ ქვეჯგუფისთვის მიღებული მონაცემების განზოგადება სტატისტიკურად არასანდოა).

ამრიგად, გენდერული თანასწორობის მიმართ ლოიალურად განწყობილთა ჯგუფის გამოცდილება კაცების საოჯახო საქმეებში ჩართვის ყველაზე მაღალ დონეს ამჟღავნებს; თუმცა თვით „ლოიალურთა“ ჯგუფშიც კი შენარჩუნებულია საოჯახო საქმეების გაძღოლის პატრიარქალური, გენდერულ უთანასწორობაზე დაფუძნებული მოდელი (იხ. დიაგრამები 27; 28).

დიაგრამა 27: „ლოიალურთა“ ჯგუფის ქალების ჩართულობა საოჯახო საქმეებში (ოჯახური მდგომარეობის ჭრილში)



დიაგრამა 28: „რეზისტენტულთა“ ჯგუფის ჩართულობა საოჯახო საქმეებში სქესისა და ოჯახური მდგომარეობის ჭრილში